



ციბეხანი

№ 86 / 25-31 ივლისი / 2011

საჯარო საიდუმლო დოკუმენტი 33. 10

რუსული „ტანდემოკრატიის“ მომავალი 33. 08

ქალაქის ტრანსპორტი: 80 თეთრი – სერვისის მიუხედავად 33. 19

ურბანისტიკა: მწვანე ზოლი 33. 22

ფოკუსი: დავნილაგის უალტერნატივო არჩევანი 33. 26

პასუხი ნიკა რურუას: რატომ უნდა ვისწავლოთ რუსული ენა 33. 32

თამარ აგაშუკელი: პრაზიკანტის გამოსვლის შესახებ 33. 36

მშვიდობით, ჰარი! 33. 38

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



ფოტოკორესპონდენტის სტაქე:

# ვინ ბაიბეხვუ?

33. 14

# FMM

## სტუდია

### 98.0





ფოტო: ვარლამ აფრიაშვილი

ფოცხოვნერში ჩასახლებულმა დევნილმა, წითელი ჯვრის დახმარებით მესაქონლეობას მიჰყო ხელი, 19 ივლისი, 2011

**ნომერში:**

- 02 „ლიბერალის“ ვებგვერდიდან
- 04 მოკლედ
- 06 **ორი აზრი**  
ადეკვატური ფასია თუ არა 80 თეთრი სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისთვის? კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ VS თინა ხიდაშელი
- მსოფლიო**
- 08 რუსული „ტანდემოკრატის“ მომავალი
- პოლიტიკა**
- 10 საჯარო საიდუმლო დოკუმენტი
- მთავარი თემა**
- 14 შეთანხმება ჯაშუშებთან

- ქალაქის ტრანსპორტი**
- 19 80 თეთრი – სერვისის მიუხედავად
- ურბანისტიკა**
- 22 მწვანე ზოლი
- ფოკუსი**
- 26 უალტერნატივო არჩევანი
- თვალსაზრისი**
- 32 პასუხი ნიკა რურუას: რატომ უნდა ვისწავლოთ რუსული ენა
- გიორგი ცხადაია
- 34 საგანმანათლებლო ბიუროკრატია მაღალი ტურბულენციის ზონაში
- სიმონ ჯანაშია
- 36 პრეზიდენტის გამოსვლის შესახებ
- თამარ ამაშუკელი

**რევიუ**

- 38 მშვიდობით, ჰარი!



**კულტურა**

- 40 როგორ შევექნათ უხილავი ისტორიისგან თანამედროვე ცეკვა
- 42 **ტექნოლოგიები**
- სპორტი**
- 44 40? 39?

**გარეკანზე:**

ვინ გაიმარჯვა?  
**ფოტო:** ზურა თვაური / ინტერპრენისუსი



ფურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

„დასაჯათ მოყოლი“

პრეზიდენტი არის აბსოლუტურად არაადეკვატური!!! (რაც მთავარია, მე არ ვამბობ რომ ის ზოგადად არაადეკვატურია... ასეთ შემთხვევაში მე აქტიურ ოპოზიციონერად ჩავითვლები და მერე ჩემი აზრი სუბიექტურად გამოჩნდება :) ამიტომ ვაზუსტებ, რომ ის არაადეკვატურია ამ კონკრეტულ შემთხვევაში... ისევე როგორც არაადეკვატური იყო მამინ, როდესაც ზაზა ბურჭულაძეს მისცა შენიშვნა) და ძალიან დიდი სირცხვილია როდესაც ქვეყნის პირველი პირი აკეთებს ასეთ, სტატუსით შეუფერებელ არაადეკვატურ განცხადებებს!!!! ისე კი მომყოლს რაც შეეხება, ჩემი აზრით, ქალის ატეხილს გავდა ეგ ;) ხოლო თუ დედუქციის მეთოდით და „ფეისბუქის“ არქივებით ვიმსჯელებთ, თამარა ჩერგოლეიშვილი გამოდის მომყოლ-მიმტანი...

სტუმარი

დიდხანს, ნამდვილად დიდხანს ველოდი ქ-ნ ნინიას „შემოქმედებით“ სტატისას ლიბერალში. მახსოვს იყო პერიოდი, რომ ნომრის გამოუტოვებლად წერდა უგემოვნო შოუებზე, ყოვლად უაზრო გადაცემებზე ქართულ ტელევიზორებში, მაგრამ მუდამ ერთი და იგივე რამ ოდესღაც ყველას სწყინდება და ქ-ნ ნინიასაც მოყირჭდა მაიასა და ნანუკაზე, ეკასა და იაზე, დოდოშკასა და ნანუკაზე, მავანზე და მავანზე ქილიკი. ბოლოს და ბოლოს, მოსწყინდა (იმედია) „ლიბერალის“ რედაქციასაც და აჰა, ნინიასაც დაუდგა (იძულებითი)

შემოქმედებითი პაუზის აუტანელი პერიოდი. თუმცა მამაზეციერი ბოლომდე არ განირავს თავის შვილსაო და ნინიასაც გაუღიმა ფორტუნამ (მადლობა შემოქმედს!) – სააკაშვილის გამოსვლის შემდეგ გამოუჩნდა რა უმშვენიერესი შანსი კვლავაც გამოჩენილიყო ქართული „ტელეკრიტიკის თანავარსკვლავედში“. მანაც არ დააყოვნა და ხმალამოლებულმა გაილაშქრა „უვიცობის, უსამართლობის, სიბნელისა და ძალადობის“ წინააღმდეგ! მან ჩვეული სიმამაცით დაიცვა სრულიად საქართველოს ინტელექტუალური „მამამარჩენალი, უსათნოესი და უკეთილშობილესი, უგანათლებულესი“ გოგი გვახარია... კომენტარი უკვე ზედმეტია... ვფიქრობ, რომ არა ქ-ნ ნინია, რა იქნებოდა?!...

გიორგი ბერიძიშვილი

ნამდვილად გაოცებული ვარ ამდენი არაადეკვატური შეფასებით. ნინიას გაკრიტიკებას, მიშას „მეტყველების მარგალიტებზე“ რომ გეთქვით ერთი-ორი სიტყვა, არ ჯობდა?! დაეუშვათ, გალიზიანებთ ნინია და თქვენ „უპირატესობის“ დამტკიცებას მსგავსი უხამსობით ეხმიანებით. დაეუშვათ, თქვენი აზრით, ნინია „გურუზე“ გადარეული, დაბალი ინტელექტის ადამიანია, რომელიც არაადეკვატურად აფასებს მოვლენებს და ასევე არაადეკვატურად წერს. ვისი „გაუნათლებლობა“ და „არაადეკვატურობა“ უფრო დააზარალებს სამშობლოა: მიშასი თუ ნინიასი?!  
**ნელი**

ბრიფინგ „ბუნდოვანი“



„რად გვინდა მტკიცებულება, თუ გვაქვს აღიარება!“ – შსს (შუა საუკუნეების სამინისტრო)

სტუმარ-მასპინძელი

შსს არის შავბნელ საქმეთა სამინისტრო... ამას განაპირობებს კარლ პუპერის თეორია, რომლის მიხედვით ადამიანები ხშირად ხდებიან იდეების და ჩამოყალიბებული სისტემების მსხვერპლნი, როდესაც იწყებენ ამ სისტემებში მუშაობას. ეს შავ-ბნელი სისტემა კი თავისი ბოლო მოდიფიკაციით ჩამოყალიბდა შევარდნაძის ეპოქაში 70-იანი წლებიდან და დღემდე ესე მოდის. ამათ არ უნდათ ადამიანის უპირატესობის აღიარება და საკუთარი სულიერი მამების მსგავსად ადამიანი ჰგონიანთ ერთი ჭანჭიკი დიდ სახელმწიფო მანქანაში.

სტუმარი

ფიქტიური კანფისყრაბი

ოპოზიციის სისუსტე, ნაც.მოძრაობის უდისციპლინობა და საკუთარი თავების მეფეებად წარმოდგენა ეხმარება ამაში მათ. ერთი კითხვა მაქვს იმ ოპოზიციონერებთან, რომლებიც პარლამენტში შევიდნენ აქაოდა ხალხმა აგვირჩია და ვერ ვუღალატებთო, რატომ უცხადებენ ბოიკოტს კენჭისყრას?

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ქვაჯა / კეკელიძე და კონფლიქტები სოფო ბუჯია / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საჯავა / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიძე  
შპს რედაქციის მენეჯერი: მია ნიკოლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭიათავა, რუსუდან ფანიზოშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი  
პუნქტიონერი: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიანი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორაძე, ლექსო ჩქარული, დიანა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბექაშვილი, დანიელ ნინი, ნიკო ნერგაძე  
რედაქციის: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ლონღაძე  
ბაშქინი: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია  
ბაშქინი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ფლენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge  
სსს ბაშქინი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „პიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.  
ფურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.  
ბაშქინი: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.  
გამოცემის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.  
www.liberali.ge

რას იგებენ ამით, თავის შეკავება ხომ იგივე თანხმობაა.

სანდრო

მომგზავნიანი ზავი



ძალიან კარგი სტატიაა! ასევე აღსანიშნავია თავად ჟურნალში დაბეჭდილი მოვლენების ქრონოლოგია, რაც სტატიის ინტერნეტ ვერსიაში მგონი დაიკარგა. განსაკუთრებით შოკისმომგვრელი იყო 2007წელს პატრიარ-

ქის მოთხოვნის/თხოვნის შემდეგ შეწყვეტილი შიმშილობის აქციიდან რამდენიმე დღეში საპატრიარქოსთვის გადაცემული ძალიან დიდი ღირებულების მიწების შესახებ ნიუსის მოსმენა. რამდენიმე თვე მაინც დაეცადათ, რომ ასე აშკარა არ ყოფილიყო კორელაცია პატრიარქის ქმედებებსა და ჯილდოს შორის!

\*WTF\* (

კარგი სტატიაა! მთლიანად ასახავს მოვლენებს და ნათლად აჩვენებს, რომ ეს კანონი მხოლოდ საბაზი იყო და მთავარი ძალაუფლებისა და ფულის გადანაწილებაა. ეკლესია მთლიანადაა ჩაფლული კორუფციის

ჭაობში და თანდათან ჩაიძირება. მივესალმები ეკლესიის თვითლუსტრაციას და დისკრედიტაციას. კმარა ხალხის მოტყუება!

სტუმარი

მართლმადიდებლობას თუ დაერხა თქვენც არ დარჩებით სახარბიელოდ, თორე, ჯანდაბას... ეგ კანონი თუ მიიღეს, რა გგონიათ, შეჯლაგუნდებით ევროკავშირში??? ან რატომოუნდათ მაინცდამაინც მაგ კანონის მიღება, კითხვა არ გიჩნდებათ? დასანანია მაგრამ ძირითადად ბრიყვი საზოგადოებაა საქართველოში:( ნიგნები იკითხეთ !!!

Vashlo

გაატარე ზაფხული ოჯახთან ერთად შერატონ ბათუმში!



**პაკეტის ღირებულება**

- \$ 169 შანი 14 ღამისათვის ოთახი ერთი ღამით
- \$ 189 შანი 10 ღამისათვის ოთახი ერთი ღამით
- \$ 209 შანი 7 ღამისათვის ოთახი ერთი ღამით

**პაკეტი შეიცავს:**

- კანონიერ სასტუმროს ორჯერადი ნომერი
- ზუავის ტაბის სერვისი
- ბუფეტის ტაბის სერვისი
- გამზიანებელი ცერემონია სარეგლობო და დასვენებელი და ბუფეტო აუზის სერვისი
- ეროვნული SPA მასაჟი სანდო-სუნდოლოდ
- 20% ფასდაკლება სასტუმროს ყველა მინისერვისზე
- უფასო სასუ დამის კლუბის კლუბის

**კირჩხაბი:**

- ფასის მოცულობა ოთხი ოთახი, ერთი ღამის ორჯერადი ორჯერადი ნომერი
- საუბრო ბუფეტის ფასი ორ ორჯერადი სერვისისთვის
- ბუფეტო აუზისათვის ორ ორჯერადი და ორ ბუფეტო სერვისისთვის
- 8 დან 12 ღამის ბუფეტის ოთახი შერატონ 20 ან 25 ოთახის ოთახისთვის
- გამზიანებელი ცერემონია ოთახი შერატონ 40 ან 20 ოთახის
- სანდო-სუნდოლო ფასის ორ შერატონ 20% ან 25%
- სერვისის ბუფეტის 7 ოთახის 10 სერვისისთვის
- სანდო-სუნდოლო ფასის ბუფეტისთვის 20% ან 25% - 1 კვირისათვის

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ნომერზე: +995 422 229000, ან დაგვიშეგვითხეთ Sheraton Batumi Hotel



## თბილისის ანძა იყიდა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ თბილისის ანძა ელექტრონულ აუქციონზე გაიტანა. აუქციონი 2011 წლის 18 ივლისს გამოცხადდა და 2011 წლის პირველ აგვისტოს 5 საათზე უნდა დასრულდეს. ობიექტის საწყისი ფასი 100 ათასი ლარია. თბილისის ანძა ახალ მფლობელს 4 წლიანი მართვის უფლებით გადაეცემა. პირობის თანახმად, ახალმა მმართველმა სანარმოს საქმიანობის პროფილი უნდა შეინარჩუნოს და სანარმოში 12 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელოს. მართვის უფლების მიმღებმა მართვის უფლებით გადაცემის საფასური ყოველწლიურად, შემდეგი გრაფიკის მიხედვით უნდა გადაიხადოს: პირველი წლის საფასური – 2012 წლის 1 აგვისტომდე; მეორე წლის საფასური – 2013 წლის 1 აგვისტომდე; მესამე წლის საფასური – 2014 წლის 1 აგვისტომდე; მეოთხე წლის საფასური – 2015 წლის 1 აგვისტომდე. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

სამინისტროში ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებენ. ელექტრონულ აუქციონზე გადის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების 100% – არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 358 114.11 კვ.მ. მიწა და 91 შენობა-ნაგებობა. თბილისის ანძის მიმართ სხვა კომპანიების დავალიანება 6 988 202 ლარია, ხოლო თავად ანძას 2 917 158.59 ლარიანი დავალიანება აქვს. ანძის საკომუნიკაციო სისტემები მოიცავს ტრანსლირებას, MMDS, პეიჯერსა და მობილურ გადამცემებს და კომერციულ ტელევიზიას. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად თბილისის ანძის 100 პროცენტის ნილი შპს „ალფა-კომს“ ეკუთვნის. შპს „ალფა-კომი“ 2000 წლის 25 სექტემბერსაა დარეგისტრირებული. მისი საწესდებო კაპიტალი 10 262 352 ლარია. ამჟამად შპს „ალფა-კომის“ დირექტორი გიორგი დეკანოზიძეა.

**ოქჩაშვილი ბაჩყალიძეს აღნაშაულებს**  
 „ქართული პარტიის“ ლიდერმა ირაკლი ოქრუაშვილმა „მაესტროსთან“ ინტერვიუში ლევან გაჩეჩილაძე პარტიის გეგმის გაცემაში დაადასტურა. მისი თქმით, არსებობდა კონკრეტული გეგმა, რომელიც ოქრუაშვილის საქართველოში მოსვლასთან ერთად ხელისუფლების შეცვლასაც ისახავდა მიზნად. თუმცა ეს გეგმა ხელისუფლების ხელში აღმოჩნდა.  
 „მოლაღატე იყო რამდენიმე, მაგრამ ყველაზე დიდი მოლაღატე იყო ლევან გაჩეჩილაძე, იგივე „გრეჩისა“. მან საკუთარი კეთილდღეობის ხარჯზე გასცა ჩვენი გეგმა“, – განაცხადა ოქრუაშვილმა.

**აფთხაბა ოსლოში**  
 ასაფთხებელი მოწყობილობა ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში სამთავრობო შენობასთან ამოქმედდა. ქალაქის ცენტრში პოლიციის ცნობით, აფეთქებისას გარდაიცვალა ორი და დაშავდა რამდენიმე ადამიანი. ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის, იენს შტოლტენბერგის თქმით, მნიშვნელოვნად დაზიანდა მთავრობის შენობა, სადაც რამდენიმე ასეული ადამიანი მუშაობს. სატელევიზიო კადრებში ჩანს, რომ აფეთქებამ სხვა შენობებიც დაზიანა. დედაქალაქის ცენტრში ყველა გზა ჩაკეტა და მოხდა ადგილობრივი მცხოვრებლების ევაკუაცია.

## ტყით სახბებლობის ნახები ისვლება



ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ტყით სარგებლობის

პირობებს ცვლის. მოკლევადიანი ლიცენზიების ნაცვლად, ტყეები, ახალი წესების მიხედვით, აუქციონზე 49 წლიანი იჯარის პირობით უნდა გაიტანონ. ამის შესახებ მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა რადიო „კომერსანტთან“ ინტერვიუში განაცხადა. მინისტრის თქმით, ტყით სარგებლო-

ბის ლიცენზიები აგვისტოს შუა რიცხვებში უნდა გაუქმდეს. აუქციონზე კი უპირატესობა იმ კომპანიებს უნდა მიენიჭოთ, ვინც სახელმწიფოს მეტ თანხას შესთავაზებს. ახალ მფლობელებს ერთი მოჭრილი ხის ნაცვლად სამი ახალი ხის დარგვა მოუწევთ. ასევე ტყის მონაკვეთში სპეციალური გზის შეყვანა დაევალებათ, რათა ადგილობრივ მოსახლეობას შეშის მოჭრის და მისი მანქანით გამოტანის შესაძლებლობა მისცენ. ინიციატივას გარემოს დაცვითი ორგანიზაციები აკრიტიკებენ.

## დასჯილი ჰოლისიანების ვინაობა უსმოხია

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, 26 მაისის აქციის დაშლის დროს პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტზე რამდენიმე პოლიციელი დასაჯეს. ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის, შოთა უტიამვილის ცნობით, სამინისტროს ოთხი თანამშრომელი გაათავისუფლეს, ერთი თანამდებობიდან ჩამოაქვეითეს, სამმა – სასტიკი საყვედური, რვამ კი უბრალოდ საყვედური მიიღო.

მათ მიერ დისციპლინარული წესდების დარღვევის ფაქტები შინაგან საქმეთა სამინისტრომ გენერალური პროკურატურის, სახალხო დამცველის და არასამთავრობო ორგანიზაციების მმართველის, ასევე მედია საშუალებებში გავრცელებული კადრების საფუძველზე დაამტკიცა. თუმცა დასჯილი პოლიციელების ვინაობას შინაგან საქმეთა მინისტრო არ ასახელებს.

## საქართველოს საელჩომ უკრაინაში სამსახურიდან დაითხოვა დაცვის თანამშრომელი, რომელმაც ქართველი ფოტოგრაფების მხარდასაჭერად კიევში მონაწილეობა და ფოტორეპორტიორებს შეურაცხყოფა მიაყენა.

18 ივლისს ინტერნეტში გავრცელდა კიევში საქართველოს საელჩოსთან გადაღებული კადრები, თუ როგორ მართავდნენ უკრაინული ორგანიზაცია „ფემენის“ წარმომადგენლები ქართველი ფოტოგრაფების დაკავების საწინააღმდეგო აქციას. საელჩოდან გამოსულმა უცნობმა პიროვნებამ აქციის ერთ მონაწილეს ხელი დაარტყა. ის ხელით შეეხო ფოტორეპორტიორებსაც, რომლებიც ამ აქციას აშუქებდნენ. მომხდარის გამო საელჩომ ბოდიში მოუხადა უკრაინულ საზოგადოებას.



### ჩისხვაბი

**50** წუთს გაგრძელდა ჯაშუშობაში ბრალდებული ფოტოგრაფების სასამართლო პროცესი.

**14** დღე გაატარა პატიმრობაში ჯაშუშობაში ბრალდებულმა სამმა ფოტოგრაფმა.

**100 000** ლარია თბილისის ანძის მართვის უფლების მოპოვების ღირებულება.

### სიტყვები



**„მინდა რალაც გთხოვოთ, არავითარ შემთხვევაში სულ ნეგატიური ინფორმაცია არ შეიძლება გავიდეს. კარგიც დანერეთ. ქვეყანაში კარგიც ხდება და ცუდიც, მაგრამ ახლა რატომღაც ნეგატიურია სულ და ხალხი დაიღალა ცუდის მოსმენით“.**

საქართველოს პატრიარქი, ილია II ჟურნალისტებთან შეხვედრისას

**ნინო ბურჯანაძეზე დიდი წარმოდგენა არასდროს მქონია, მას 1 კი არა 0,1 გრამი ქუცაც არასდროს ჰქონია.**

ირაკლი ოქრუაშვილი

**„მიხარია, რომ თავისუფალი ვარ!“**  
ჯაშუშობაში ბრალდებული ფოტოგრაფი ზურაბ ქურციკიძე სასამართლო დარბაზის დატოვებისას



## კი კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“

„თბილისის მიკროავტობუსმა“ ახალი, 2011 წლის, ყვითელი ფერის „ფორდის“ მარკის მიკროავტობუსები შემოიყვანა. თბილისელებს 15 ივლისიდან ვაკე-საბურთალოს გავლით 300 არაგველების მეტროს მიმართულებით მოძრავი 4 ნომრის სამარშრუტო ხაზზე 36 მანქანა ემსახურება. უახლოეს მომავალში ქალაქში არსებულ სხვა სამარშრუტო ხაზებზე მოძრავი ძველი მიკროავტობუსებიც ახლით შეიცვლება.

მგზავრობის საფასურის გაძვირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ამ სისტემის ლეგალური დაბეგვრის რეჟიმში მოქცევა, ანუ დღემდე მიკროავტობუსებში მგზავრობისათვის გადახდილი თანხა იყო ე.წ. „შავი ფული“, დღეიდან კი, ის საგადასახადო კოდექსის შესაბამისად იბეგრება. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ თანხები რომლებიც გამოიყოფოდა ძველი ავტომანქანების მოსავლელად, იყო მიზეზული, რაც შედეგად გვაძლევდა ამორტიზირებულ, მგზავრობა გადაადგილებისთვის შეუფერებელ ტრანსპორტს, ხოლო მგზავრობა უსაფრთხო და კომფორტულად გადაადგილებისთვის თანამედროვე სტანდარტების ახალ მიკროავტობუსებს გაცილებით მეტი ხარჯის განევა სჭირდება.

ახალ მიკროავტობუსებში მგზავრები გადახდის ტრადიციული სისტემიდან თანამედროვე საბარათე სისტემაზე გადავიდნენ, მგზავრობის საფასურის გადახდა ელექტრონული ბარათით არის შესაძლებელი. ფასდაკლებით სარგებლობს ყველა ის მგზავრი, რომელიც მუნიციპალურ ტრანსპორტში – მეტროსა და ავტობუსში – უკვე მოქმედ ელექტრონულ ბარათს გამოიყენებს ახალ მიკროავტობუსში. პირველი გადახდა 80 თეთრი, ხოლო იმავე დღეს ყოველი შემდეგი გადახდა 65 თეთრია. სოციალურად დაუცველი მოსახლეობა შეღავათით სარგებლობს და ისინი მგზავრობის ღირებულების ნახევარს იხდიან, ანუ 40 თეთრს, მეორე ნახევარს კი თბილისის მერია ფარავს. ახალ მიკროავტობუსებში თითოეული მძღოლი და მგზავრი დაზღვეული იქნება.

ახალი მანქანები აღჭურვილია კონდიციონერის სისტემით, სავარძლებს შორის დაშორება 65 სანტიმეტრია, ელექტრონული ბარათის გამო მგზავრს უადვილდება მძღოლთან კომუნიკაცია. მიკროავტობუსი ყოველდღიურად ტექნიკურ და ვიზუალურ დათვალიერებას გადის. ეს არის ტრანსპორტი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია და რომელშიც მგზავრი და მძღოლი კომფორტულად შეძლებს გადაადგილებას.



ფოტო: ლევან სპიხაშვილი

## აღეხვათუხი ფასია თუ ახ ტაქსით მბზა

**■ მგზავრობის საფასურის გაძვირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ამ სისტემის ლეგალური დაბეგვრის რეჟიმში მოქცევა, ანუ დღემდე მიკროავტობუსებში მგზავრობისათვის გადახდილი თანხა იყო ე.წ. „შავი ფული“, დღეიდან კი, ის საგადასახადო კოდექსის შესაბამისად იბეგრება.**



# ნა 80 თეთრი სამაჩხუხუხო კომპობისთვის?

■ ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სამარშრუტო ტაქსების ბიზნესი არ არის რეგულირებადი სფერო. ამავდროულად, მერია ამბობს, რომ 600 ათასი ადამიანი ქალაქის ბიუჯეტის ხარჯზე შეღავათიანი ტარიფით იმგზავრებს. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, მერია არ იყოს ფასის წარმოქმნის პროცესის სუბიექტი. წარმოქმნის პროცესის სუბიექტი.



არა

თინა ხიდაშელი

თბილისის საკრებულოს წევრი

ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სამარშრუტო ტაქსების ბიზნესი არ არის რეგულირებადი სფერო. ამავდროულად, მერია ამბობს, რომ 600 ათასი ადამიანი ქალაქის ბიუჯეტის ხარჯზე შეღავათიანი ტარიფით იმგზავრებს. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, მერია არ იყოს ფასის წარმოქმნის პროცესის სუბიექტი. ასევე შეუძლებელია არ ითხოვდეს ახალი ტარიფის დასაბუთებას.

ბაზრის მონოპოლიის ფონზე, მერიის განცხადებები ნიშნავს იმას, რომ მიუხედავად იმისა, ფასი იქნება 80 თეთრი თუ 2 ლარი, მერია ვალდებული იქნება ნებისმიერი ტარიფის ნახევარი მორჩილად გადაიხადოს მისი ეჭვქვეშ დაყენების, სამართლიანობისა და რაციონალურობის დასაბუთების მოთხოვნის გარეშე.

ამასთანავე, დღევანდელი მდგომარეობით, მერიის ამგვარი დაპირება სამართლებრივი და საბიუჯეტო ნონსენსია, ვინაიდან ქალაქის ბიუჯეტში სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის გადასახადის თანადაფინანსება გათვალისწინებული არ არის, და გაუგებარია, რა სახსრებით მოხდება, უკონტროლო ტარიფის სუბსიდირება.

ასეთივე სამართლებრივი ნონსენსია მძღოლებისათვის ფასის მატების გადაბრალება, ვინაიდან ასეთი შესაძლებლობის დაშვება, თავისთავად კომპანიასთან ხელშეკრულების მოშლას უნდა იწვევდეს. თბილისში მხოლოდ კომპანიას აქვს სამარშრუტო ტაქსით გადაზიდვის განხორციელების უფლება. ყველა, ძველი და ახალი მანქანა სწორედ მათი უფლების ქვეშ მოქმედებს, შესაბამისად, მძღოლები კომპანიას უხდებიან ყოველდღიურ გადასახადს, რომელიც ფასის პროპორციულია.

ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ დეკემბერში სამარშრუტო ტაქსების ტენდერი გამოცხადდა. სადაც მალევე ნათელი გახდა, რომ მონოპოლია დამყარდა და მთელი ქალაქის მომსახურება ერთ კომპანიას „ჯიემსი – ჯგუფს“ გადაეცა.

შესაბამისად, ფასმა მოიმატა და არც არავის უთქვამს გადაჭრით, რომ ეს ბოლო მომატებაა. უფრო მეტიც, მძღოლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებით ირკვევა, რომ 1 ოქტომბრიდან ეს ფასები შეიძლება კიდევ ერთხელ გადაიხედოს. ■

რუსეთი

# ჩუპინი "ხანდემოხახაიის" მომავალი

ბოლო დროს რუსეთში ხუმრობენ, რომ მაიას ტომების წინასწარმეტყველება – მსოფლიოს დასასრული – 2012 წელს პუტინისა და მედვედევის საპრეზიდენტო დაპირისპირების შედეგი იქნება. 2011 წლის დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებით დაწყებული, 2012 წლის მარტის საპრეზიდენტო არჩევნებამდე რუსეთს მართლაც პოლიტიკურად ძალიან რთული წელი ელის.

ვასო კუჭუხიძე



ვლადიმერ პუტინი

მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნები რუსეთში საერთაშორისო საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს. სწორედ 2012 წელს გადაწყდება, დაიშლება თუ არა რუსული „დუმვირატი“. მართალია, ფარული პაექრობა დიდი ხნის დაწყებულია, მაგრამ ჯერჯერობით ორივე კანდიდატი მაქსიმალურად ცდილობს მის შენიღბვას და თავს არიდებს მომავალ გეგმებზე საუბარს. რამდენიმე კვირის წინ Financial Times-ისთვის მიცემულ ინტერვიოში მედვედევა განაცხადა, რომ ის არ აპირებს საარჩევნო მართონში ჩაბმას, რადგანაც პუტინთან მისი დაპირისპირება ქვეყნის მომავლისთვის სასიკეთო არ იქნება. თავის მხრივ, პრემიერმაც გამორიცხა სამომავლოდ რაიმე სახის განხეთქილება და ხაზი გაუსვა, რომ ლიდერებს ჯერ არ აქვთ გადაწყვეტილი, მათ შორის რომელი მიიღებს მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში.

რუსეთის ბოლოდროინდელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას თუ დავაკვირდებით, ეჭვგარეშეა, რომ სამთავრობო ტანდემმა „მშვენივრად“ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. პრეზიდენტსა და პრემიერს შორის ფუნქცი-

ბი არა თანამდებობის, არამედ პიროვნული ხასიათისა და შესაძლებლობების მიხედვით გადანაწილდა. პუტინი, როგორც „მკაცრი ხელი“, ავტორიტარიზმის მშენებლობას მედიის დატერორებითა და ძალოვანი სტრუქტურების გაძლიერებით აგრძელებს. მედვედევი კი პრაგმატულ და რაციონალურ საგარეო პოლიტიკურ კურსს მიჰყვება. მართალია, ძალაუფლების გამიჯვნის არარსებობა მათ შორის ხშირად ერთმანეთის კომპეტენციებში შეჭრას იწვევს, მაგრამ ჯერჯერობით ეს სერიოზული განხეთქილების მიზეზი არ გამხდარა.

რუსეთში, მედვედევის ხელისუფლებაში მოსვლამდეც ფიქრობდნენ, რომ პუტინი მორჩილ და დამჯერ კანდიდატს შეარჩევდა, რომელიც პრეზიდენტობის ფუნქციას მხოლოდ ფორმალურად შეასრულებდა და ოთხი წლის შემდეგ პოსტს უბრძოლველად დატოვებდა. მოლოდინი ნაწილობრივ გამართლდა კიდეც – მედვედევი მმართველობის პირველ ეტაპზე წინამორბედის ხისტ პოლიტიკურ კურსს აგრძელებდა. მაგალითად რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი და კალინინგრადში ბირთვული რაკეტების განლაგების შესახებ მუქარაც საკმარისია.

თუმცა მედვედევი არ აღმოჩნდა უუნარო მარიონეტი. მან მოგვიანებით დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსის გატარება იწყო, რომელიც დასავლეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებასა და თანამშრომლობაზე არის ორიენტირებული. ევროპაში ანტისარაკეტო სისტემის განთავსების მიმართ მისმა კონსტრუქციულმა დამოკიდებულებამ, ლიბიის შესახებ გაეროს N1973 რეზოლუციის მხარდაჭერამ და სურვილმა, რუსეთი გახდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, დასავლეთის დამოკიდებულება მედვედევის მიმართ შეცვალა. მიუხედავად იმისა, რომ საშინაო ასპარეზზე პუტინისა და მედვედევის პოლიტიკა ავტორიტარულ პრინციპებზე დგას და დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, დასავლეთი რუსეთის ახლანდელ პრეზიდენტს პუტინთან შედარებით მაინც პრო-დემოკრატიულ ლიდერად მიიჩნევს.

ამიტომაც, მედვედევის კანდიდატურა დასავლეთისთვის გაცილებით მისაღებაა, ვაშინგტონი დიდი მონდომებით ცდილობს მედვედევის დარწმუნებას, რომ კენჭი იყაროს 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. ანალიტიკოსთა



დემიტრი მედვედევი

**■ ვაცლავ შაველი**  
**პრემიის დაბრუნებით**  
**დაიმუქრა. ჩეხეთის**  
**ყოფილი პრეზიდენტის**  
**წარმომადგენლის აზრით,**  
 პრემია არა პუტინს, არამედ  
 მის ერთ-ერთ მთავარ  
 ოპონენტს – ჟურნალისტ  
 ანა პოლიტკოვსკაიას  
 უნდა გადაეცეს, რომელიც  
 სიტყვის თავისუფლებისთვის  
 ბრძოლას შეენირა 2006  
 წელს.

განცხადებით, ამა წლის მარტის დასაწყისში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ვიზიტი მოსკოვში სწორედ მედვედევის შეგულიანებას ემსახურებოდა. მან ვაშინგტონის მხარდაჭერა აღუთქვა მედვედევს, თუკი ის პრეზიდენტობის მართონში ჩაერთვება.

აშშ-ის გარდა მედვედევს მხარდაჭერა აქვს უკრაინის პრეზიდენტის მხრიდანაც. იანუკოვიჩის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა გაუმჯობესდა, მაგრამ, როგორც უკრაინული პრესა იუწყება, იანუკოვიჩი პუტინის მიმართ დიდი სიმპათიებით არ არის განმსჭვალული და ნებისმიერი მაღალი დონის შეთანხმების მიღწევას მედვედევთან მოლაპარაკებით ცდილობს.

ცალკე საუბრის საკითხია ევროპელი ლიდერები. თუკი ნიკოლა სარკოზი და ევროკავშირის მაღალჩინოსნები მედვედევის მხარდამჭერებად ითვლებიან, სილვიო ბერლუსკონის, ანგელა მერკელისა და ვლადიმირ პუტინის მეგობრობა საჯაროდაა ცნობილი. თუმცა, სულ ცოტა ხნის წინ გერმანიაში მომხდარმა ინციდენტმა მერკელ-პუტინის ახლო ურთიერთობას ჩრდილი მიაყენა.

გერმანულმა არასამთავრობო ორ-


განიზაცია Netzwerk-მა ვლადიმირ პუტინი წლის ადამიანად გამოაცხადა და მისი „კვადრიგით“ დაჯილდოება გადაწყვიტა. „კვადრიგის“ პრემია 1990 წელს გერმანიის გაერთიანების პატივსაცემად დაარსდა და ყოველ წელს, ქვეყნის გაერთიანების დღეს, გერმანიის საგარეო სამინისტროს ხელშეწყობით იმართება მისი გადაცემის ცერემონია. თავად პრიზი – მაგდებურგის ჭიშკართან მდგარი კვადრიგის ქანდაკების პატარა ოქროს ანალოგია და წლის გამორჩეულ ადამიანს ენიჭება მშვიდობასა და ეკონომიკურ განვითარებაში შეტანილი წვლილის გამო. მისი ლაურეატები არიან: მიხეილ გორბაჩოვი, ბერნარდ კუმნერი და ვაცლავ შაველი.

პუტინის დაჯილდოება ორგანიზაციამ გერმანია-რუსეთის დაახლოებაში შეტანილი წვლილის გამო გადაწყვიტა, რამაც გერმანიაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. სახელისუფლებო და არასამთავრობო წრეებში ღიად აკრიტიკებდნენ მიღებულ გადაწყვეტილებას და მის გაუქმებას მოითხოვდნენ. გერმანიის ადამიანთა უფლებების დამცველმა კომისარმა მარკუს ლეონინგმა გადაწყვეტილებას ცინიკური და შეურაცხმყოფელი უწოდა.

მოსახლეობის დიდი ნაწილის აზრით, დაუშვებელია გერმანიის გაერთიანებისთვის მიძღვნილი პრემიით იმ ადამიანის დაჯილდოება, რომელიც KGB-ს აგენტი იყო აღმოსავლეთ გერმანიაში და ერის ჰონეკერის რეპრესიულ რეჟიმს ემსახურებოდა. გარდა ამისა, პუტინის დაჯილდოების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე 2010 წლის ლაურეატმა, დანიელმა ხელოვანმა ოლაფურ ელიასონმა უკვე მიღებული პრემია უკან დააბრუნა. ვაცლავ შაველი კი მისი დაბრუნებით დაიმუქრა. ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტის წარმომადგენლის აზრით, პრემია არა პუტინს, არამედ მის ერთ-ერთ მთავარ ოპონენტს – ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას უნდა გადაეცეს, რომელიც სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლას შეენირა 2006 წელს.

საერთაშორისო უკმაყოფილებამ პრემიის ორგანიზატორები გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო და იძულებული გახადა, უკვე მიღებული გადაწყვეტილება გაეუქმებინათ. პუტინის პრესსამსახურის უფროსის განცხადებით, „მართალია, რუსეთის პრემიერი მოწონებით არ შეხვდა გადაწყვეტილების შეცვლას, მაგრამ ეს თავად ორგანიზატორების გადასაწყვეტი იყო და გერმანია-რუსეთის ურთიერთობებზე უარყოფითად არ იმოქმედებს.“

ამ შემთხვევამ კარგად გამოაჩინა დასავლეთში პუტინის მიმართ დამოკიდებულება. პრეზიდენტის ავტორიტეტი საკმაოდ დაბალია თავად რუსეთშიც, ამიტომაც ხელისუფლებაში მოსვლის პირველი დღიდან იგი ძალაუფლების გამყარებას ძალოვანი სტრუქტურების გაძლიერებისა და პოტენციური მოწინააღმდეგეების თავიდან მოცილების ხარჯზე გეგმავს. მმართველობის პერიოდში ყველა კონკურენტი ისე დაასუსტა, რომ მისთვის წინააღმდეგობის განევა შეუძლებელია. თუკი 2012 წლის არჩევნებში მას მედვედევი არ დაუპირისპირდება, პუტინის გამარჯვება გარდაუვალია. სწორედ ამიტომ ცდილობს დასავლეთი მედვედევზე ფსონის დადებას. ■



# WikiLeak

ვიკილიქსი საქართველოზე

## საჯახო საინფორმაციო დოკუმენტები

Wikileaks-ის მიერ გამოქვეყნებული მორიგი დიპლომატიური ტელეგრამებიდან თბილისიდან ვაშინგტონში გაგზავნილი კონფიდენციალური წერილის დეტალები გახდა ცნობილი.

დიანა ჩაჩუა

2009 წლის 25 სექტემბერს თბილისში აშშ-ის საელჩოდან ვაშინგტონში კონფიდენციალური წერილი გაიგზავნა. წერილში პრეზიდენტ სააკაშვილისა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილის – თინა ქეიდენაუს საუბარი იყო აღწერილი.

„სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ – ქეიდენაუმ გამოხატა შეშფოთება საქართველოს თავდაცვის ახალ მინისტრად ბაჩო ახალაიას დანიშნვასთან დაკავშირებით, რომელსაც

ცუდი რეპუტაცია აქვს, განსაკუთრებით ადამიანის უფლებებებთან მიმართებაში. ამის საპასუხოდ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა მოუწოდა აშშ-ს, შანსი მისცეს ახალაიას, რომ დაადასტუროს თავისი ერთგულება რეფორმების მიმართ. მოკლე შინაარსის დასასრული.“ პირველი შეხედვით, წერილის ყველაზე საგულისხმო დეტალი თინა ქეიდენაუს მიერ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბაჩო ახალაის მიმართ გამოთქმული კრიტიკაა.

თბილისიდან გაგზავნილი დეპეშის მიხედვით, სააკაშვილმა თინა ქეიდენაუს „დაუყოვნებლივ“ უპასუხა, რომ მას არ ესმის, თუ რატომ გახდა მისი ეს საკადრო არჩევანი საერთაშორისო კრიტიკის მიზეზი.

„სასჯელალსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის დროს, ახალაია პასუხისმგებელი იყო, გამკლავებოდა მაფიას საქართველოში და შედეგად, საქართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით უფრო მეტი წარ-



ვა პასუხი.“ სააკაშვილი ქეიდენაუს და სხვა ოფიციალურ პირებს მოუწოდებდა თავი შეეკავებინათ ახალაიას დანიშვნასთან დაკავშირებით ნაადრევი დასკვნების გამოტანისგან და მისთვის შანსი მიეცათ”.

საკაშვილის მცდელობის მიუხედავად, ტელეგრაშიდან ნათლად ჩანს, რომ ქეიდენაუ მაინც მოუწოდებდა სააკაშვილს გაეაზრებინა, თუ რა გავლენა იქონია ამ დანიშვნამ საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციაზე და „ხაზი გაუსვა მსგავსი ქმედებისგან მომავალში თავის შეკავების მნიშვნელობას“.

ბაჩო ახალაია თავდაცვის მინისტრის მოადგილეობიდან მინისტრის თანამდებობაზე 2009 წლის 27 აგვისტოს დაინიშნა – კონფიდენციალურ წერილში აღწერილ შეხვედრამდე ორი კვირით ადრე. თავის პირველ პრესკონფერენციაზე ახალაია მოკლე განმარტებით შემოიფარგლა და მხოლოდ პრიორიტეტებზე ისაუბრა. განცხადება მან ჯერ ქართულად, შემდეგ კი ინგლისურ ენაზე გააკეთა.

„მე შევეცდები მაქსიმალურად მოკლედ გითხრათ ჩვენი პრიორიტეტების შესახებ. ეს იქნება: მოდერნიზება, მშვიდობა და ნატოში ინტეგრაცია“.

ამ საკადრო გადასაცვლებას წინ უძღოდა სახალხო დამცველის 2008 წლის სპეციალური ანგარიში, რომელშიც აღწერილი იყო ბაჩო ახალაიას მიერ პატიმარ გიორგი ავალიანის ცემის ფაქტი. სახალხო დამცველი ახალაიას ბრალს პატიმრებზე ძალადობის არაერთ ფაქტსა თუ 2006 წლის 27 მარტის „ორთაჭალის ციხის ბუნტის“ ინსპირირებაშიც სდებდა. ანგარიშში ასევე საუბარი იყო ბაჩო ახალაიასა და მისი მოადგილეების მონაწილეობაზე ქიბარ ხალვაშის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიაში.

ამ ხარვეზების მიუხედავად, რომელზეც სააკაშვილთან შეხვედრისას ღიად მიუთითებდა თინა ქეიდენაუ, უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა ბაჩო ახალაიას დანიშვნა მაშინ იმ მოტივით ახსნა, რომ „ბევრად მეტია გასაკეთებელი და ბევრად უფრო მკაცრი ხელია საჭირო ამ უწყებაში. დღეს ჩვენს ციხეს აღარ მართავს კანონიერი ქურდი და დღეს დანაშაული აღარ იმართება ციხიდან. აი, ამ კაცმა გააკეთა ეს. მე ვიყავი იუსტიციის მინისტრი და ეს ვერ გავაკეთე, მან კი ეს ძალიან მკაცრი ზომების გატარების ხარჯზე განახორციელა“, – აცხადებდა პრეზიდენტი ახლად დანიშნულ ახალაიაზე.

ახალაიას დანიშნიდან ორ კვირაში თინა ქეიდენაუსთან გამართულ შეხვედრაზე, როგორც ჩანს, აშშ-ის შენიშვნები საკმარისად დამარწმუნებელი არ აღმოჩნდა სააკაშვილისთვის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალაია დღემდე თავდაცვის მინისტრია.

ამერიკელ დიპლომატთან შეხვედრის დასაწყისში მთხრობელს პრეზიდენტი სააკაშვილი აღწერილი ჰყავს როგორც „თავდაჯერებული, რომელიც კარგად ინფორმირებული იყო ქეიდენაუს მიერ ერთი დღით ადრე თბილისში გამართული შეხვედრების შესახებ“. სააკაშვილს შეხვედრაზე ამერიკის მოქალაქე, მისი მრჩეველი დანიელ კუნინი ახლდა. ქეიდენაუ, თავის მხრივ, აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან, კავკასიისა და რეგიონალური კონფლიქტების ოფისის მრჩეველ ბირნერთან და ელჩის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელ ფიშერთან ერთად გამოცხადდა. წერილში ხაზგასმულია პრეზიდენტის შემფოთებული განწყობა, რაც ვენესუელას მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხს ეხებოდა. შეხვედრა სწორედ ამ საკითხზე საუბრით დაიწყო. სააკაშვილი შიშობდა, რომ ეს პრეცედენტს შექმნიდა და ამას სხვათა მიერ მსგავსი ნაბიჯის გადადგმა მოჰყვებოდა.

„მან განაცხადა, რომ ბელარუსი გადამწყვეტილების მიღების ზღვარზეა და აღნიშნა, რომ იმედი აქვს, დასავლეთი სწრაფად იმოქმედებს, რათა ამგვარი ნაბიჯი არ დაუშვას. მისი მტკიცებით, ლუკაშენკოს „ვლადიმირ პუტინი ეზიზნება“ და სწორედ ამიტომ არ აკრძალა ლუკაშენკომ 2006 წელს ქართული პროდუქციის იმპორტი. ამის მიუხედავად, ბელარუსი რუსეთის მხრიდან ძლიერი ეკონომიკური ზეწოლის ქვეშ არის და დიდხანს ამას ვერ გაუძლებს,“ – ნათქვამია კონფიდენციალურ დოკუმენტში.

მატება ჰქონდა, ვიდრე სხვა რომელიმე ყოფილ საბჭოთა ქვეყანას,“ – ნათქვამია წერილში. მონათხრობიდან როგორც ჩანს, სააკაშვილი ცდილობდა, დაემტკიცებინა ქეიდენაუსთვის, რომ ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა დავით სიხარულიძემ ვერ მიაღწია რეალურ პროგრესს რეფორმების კუთხით, რომ „ის უკეთესი დიპლომატი იყო, ვიდრე მინისტრი და ის, როგორც პრეზიდენტი, ვალდებული იყო მუხროვანის გადატრიალების მცდელობისთვის სიხარულიძისთვის მოეთხო-



თინა ქეიდენაუ



მიხეილ სააკაშვილი

■ „ქეიდენაუმ გამოხატა შემფოთება თავდაცვის ახალ მინისტრად ბაჩო ახალაიას დანიშვნასთან დაკავშირებით, რომელსაც ცუდი რეპუტაცია აქვს, განსაკუთრებით ადამიანის უფლებებებთან მიმართებაში. ამის საპასუხოდ, სააკაშვილმა მოუწოდა აშშ-ს, შანსი მისცეს ახალაიას, რომ დაადასტუროს თავისი ერთგულება რეფორმების მიმართ“.

წერილიდან ჩანს, რომ ქეიდენაუ იზიარებს სააკაშვილის შიშებს ბელარუსთან დაკავშირებით და ამ სახელმწიფოს „არათანმიმდევრულს და არაპროგნოზირებადს“ უწოდებს. თუმცა არც იმის დაპირება დავინყებია, რომ აშშ ყველანაირად შეეცდებოდა, ხელი შეუშალა ზოგადად აღიარების პროცესისთვის, კონკრეტულად ბელარუსის საკითხზე კი ევროპელებთან იმსჯელებდა. თინა ქეიდენაუ მოუწოდებდა საქართველოს პრეზიდენტს, რომ „ნებისმიერ აღიარებას თავშეკავებით უპასუხოს და აღნიშნა ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ფილიპ გორდონის საჯარო განცხადებები, რომლის თანახმადაც, ვენესუელის მიერ სოხუმის და ცხინვალის აღიარება საქართველოს სუვერენიტეტისთვის არ იყო მნიშვნელოვანი საფრთხე“.

ამ დაპირებების მიუხედავად სააკაშვილი კვლავ ბელარუსის თემას უბრუნდება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის შემფოთებას ამ საკითხთან დაკავშირებით. მან უთხრა ქეიდენაუს, რომ თუ ბელარუსი აღიარებას გადაწყვეტდა, საქართველო ევროკავშირის ახლად შექმნილი „აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის“ ფარგლებში ბელარუსთან მუშაობას ველარ შეძლებდა. მეტიც, პრეზიდენტი ამბობდა, რომ აღიარების შემთხვევაში „თუ ევროკავშირი არ გა-

აძეგებდა ბელარუსს აღმოსავლეთ პარტნიორობიდან, მაშინ საქართველოს მოუწევდა მისი დატოვება“. ქეიდენაუმ სააკაშვილს ნაჩქარევი ქმედებებისგან თავშეკავება და „ევროკავშირთან ახლო კოორდინაციისკენ მოუწოდა“, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მისი აზრით, კონტრპროდუქტიული იქნებოდა და საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობებს დაზიანებდა.

შემდგომ მთხრობელი წერილში კვლავ სააკაშვილის განწყობას ეხმიანება და აღნიშნავს, რომ როგორც შეატყო, ბელარუსისგან და სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით ის ნაკლებად ნუხდა აფრიკის ქვეყნების მიერ სოხუმისა და ცხინვალის აღიარების შესაძლებლობაზე.

შემდეგ სიუჟეტის ხაზი ნაკლებად დაძაბულია და შეხვედრის მონაწილეებს შორის ურთიერთდაპირებების გაცვლით გამოიხატება: სააკაშვილს იმედი აქვს, რომ აშშ არ უყურებს კონფლიქტებს, როგორც სამუდამოდ გაყინულს, ქეიდენაუ კი მას აზრს ეკითხება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეეძლო აშშ-სა და საქართველოს განეხორციელებინათ კონკრეტული პროგრამები ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობას შორის კონტაქტების აღდგენისთვის. სააკაშვილი მაღლიერებას გამოხატავს აშშ-ის მიერ

გაეროს გენერალური ასამბლეის ბოლო რეზოლუციის მხარდაჭერის გამო, ქეიდენაუ კი პასუხობს, რომ „რეზოლუციის ფორმულირებების თაობაზე საქართველოს დამთმობი პოზიცია წარმატებისთვის გადაწყვეტი იყო“.

შეხვედრის დასასრულისკენ საუბარი კვლავ გამწვავდა, რადგან ამერიკელი დიპლომატი დემოკრატიულ რეფორმებთან დაკავშირებულ ხარვეზებს შეეხო. ქეიდენაუმ სააკაშვილს ამერიკის სავაჭრო პალატის საბჭოს წევრებთან შეხვედრის დეტალები გააცნო, რომლებიც „დაეთანხმნენ მოსაზრებას, რომ ეკონომიკური განვითარებისთვის მთავარ დაბრკოლებას არა რუსეთის სამხედრო ყოფნიდან მომავალი საფრთხე, არამედ კანონის უზენაესობის საკითხებთან დაკავშირებით არასაკმარისი პროგრესი და შიდა პოლიტიკურ სტაბილურობასთან დაკავშირებული შემფოთება წარმოადგენდა“. ქეიდენაუმ აღნიშნა, რომ ბიზნეს-წრეებს მხედველობაში ჰქონდათ მთავრობის მხრიდან სასამართლოზე პირდაპირი ზეწოლა როგორც კარგი მმართველობისა და კანონის უზენაესობის დამაბრკოლებელი ფაქტორი.

ქეიდენაუს კომენტარს სააკაშვილის მოსალოდნელი შეფასება მოჰყვა:

„საკაშვილმა უპასუხა, რომ საქართველოს სასამართლო სისტემა უფრო ნაკლებად კორუმპირებულია, ვიდრე

სხვაგან სამეზობლოში, მათ შორის თურქეთში. მან საქართველოს რეფორმები დაახასიათა, როგორც „პროცესი“. მან თქვა, რომ საქართველოს ჰყავს ახალგაზრდა, ამბიციური მოსამართლეები, რომლებსაც კარგი ანაზღაურება აქვთ, თუმცა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გასაუმჯობესებლად უფრო მეტი განათლება და დასავლეთთან ზიარება სჭირდებათ. მან აღნიშნა, რომ პრეზიდენტი აღარ მონაწილეობდა მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში, – ნათქვამია წერილში.

კიდევ უფრო საინტერესო აღმოჩნდა სააკაშვილის კომენტარი ქართულ მედიასთან დაკავშირებით. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მედიის ფუნდამენტური პრობლემა ინგლისურის ენის უცოდინრობა იყო. მან ისიც განაცხადა, რომ ქართველ ჟურნალისტებს ძირეულად არასწორად ესმოდათ თავისუფალი პრესის როლი, თუმცა იმედი გამოთქვა,

რომ დასავლეთთან შემდგომი კონტაქტები ამ პრობლემის მოგვარებაში დაეხმარებოდათ.

„მან კიდევ ერთხელ გაიმეორა ადრინდელი მისი თხოვნა აშშ-ის მთავრობის მიერ მხარდაჭერილი ინგლისური ენის ტრენინგებთან დაკავშირებით,“ – ნათქვამია წერილში.

თინა ქეიდენაუმდე Wikileaks-მა საქართველოში სხვა ამერიკელი დიპლომატების საუბრების დეტალებსაც ახადა ფარდა. ამ ფაილების წყალობით განსაკუთრებით კარგად საზოგადოებამ აშშ-ის ყოფილი ელჩი ჯონ ტეფტი გაიცნო, რომელიც რამდენჯერმე მოხვდა Wikileaks-ის ფაილებში. მაგალითად, მისი მიმოწერის წყალობით გაირკვა, რომ „აგვისტოს ომი საქართველოს თვითმიზანს არ წარმოადგენდა“. საქართველოში ამერიკელი დიპლომატების გულახდილობის წყალობით გაირკვა ისიც, რომ 2008 წლის საომარი კონფლიქტის

დროს ჩები დიპლომატები საქართველოში ნატო-ს ჯარების შეყვანას ითხოვდნენ. ასევე ისიც, რომ უკრაინული საშუაშეშეშე ფირმა, რომელიც უკრაინასა და საქართველოს შორის იარაღით ვაჭრობაში იყო ჩართული, ქართული მხარისაგან წინასწარ განსაზღვრულზე გაცილებით მეტ საკომისიოს იღებდა, რითაც ოფიციალური თბილისი მეტად უკმაყოფილო იყო.

თუმცა ჯონ ტეფტს გაუმართლა, რადგან Wikileaks-ის სკანდალს ის თბილისში აღარ შესწრებია. იმ დროისათვის საქართველოში უკვე ჯონ ბასი მუშაობდა. Wikileaks-ის მორიგი საიდუმლო მასალების გამოქვეყნებით შექმნილი უხერხულობისგან თავის დაღწევას თინა ქეიდენაუც იოლად შეძლეს, რადგან გასულ კვირას ის უკან გაიწვიეს. ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილის პოსტზე ის ერიკ რუბინმა ჩაანაცვლა. 

RadioCommerciant

marketing@commerciant.ge  
+995 32 505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commerciant.ge

ფოტორეპორტიორების საქმე

# შეტანსმება ჯაშუშებთან

14 დღე, რომელშიც დაკავება, ათეულობით საპროტესტო აქცია, ბრალის უარყოფა, აღიარება, გარიგება და სასამართლო პროცესი მოესწრო.

მაია ნიკლაური



ფოტო: ლევან სარგულაძე

სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებულმა ფოტორეპორტიორებმა ტერიტორია უკომენტაროდ დატოვეს, თბილისი, 22 ივლისი 2011

„სასამართლოზე თქვენ ნახავთ, თუ რა სერიოზულია ეს საქმე და რა მყარია მტკიცებულებები. გარწმუნებთ, სასამართლო პროცესის შემდეგ არცერთი კითხვა უპასუხოდ არ დარჩება“, – ეს განცხადება შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ფოტოგრაფების საქმესთან დაკავშირებით 13 ივლისს, ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს გააკეთა.

ქართველი ფოტოგრაფების სასამართლო პროცესი ჯაშუშობის საქმეზე,



მინისტრის ამ განცხადებიდან ძალიან მალე – 8 დღეში დაინიშნა. სასამართლო, რომელსაც არცერთი კითხვა უპასუხოდ არ უნდა დაეტოვებინა, მხოლოდ მთავარი პროკურატურის შუამდგომლობის განსახილველად შეიკრიბა და ჯაშუშობაში ბრალდებულებს განაჩენი საქმის არსებითი განხილვის გარეშე, 50 წუთში გამოუტანა.

7 ივლისს ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული პრეზიდენტის ყოფილი პირადი ფოტოგრაფი ირაკლი გედენიძე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კონტრაქტორი და „ალია-ჰოლდინგის“ ფოტოგრაფი გიორგი აბდალაძე და ევროპის ფოტოსააგენტოს წარმომადგენელი საქართველოში ზურაბ ქურციკიძე საპროცესო შეთანხმების საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს დარბაზიდანვე გაათავისუფლეს.

ქურციკიძეს სასამართლომ პირობითი სასჯელი 3 წლის გამოსაცდელი ვადით შეუფარდა, გიორგი აბდალაძესა და ირაკლი გედენიძეს – 4 წლის ვადით, პრეზიდენტის ყოფილი პირადი ფოტოგრაფის მეუღლეს, ნათია გედენიძეს კი, რომელსაც ჯაშუშობის ხელშეწყობა ბრალდება – 1 წლისა და 6 თვის ვადით.

პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებისთვის მათ კომენტარი არ გაუკეთებიათ.

„მიხარია, რომ თავისუფალი ვარ“, – ეს იყო ერთადერთი განცხადება, რომელიც ზურაბ ქურციკიძემ სასამართლოს შენობის დატოვების შემდეგ გააკეთა. გიორგი აბდალაძე კი სასამართლოსთან შეკრებილ ჟურნალისტებს მანქანიდან გამარჯვების ჟესტით მიესალმა.

ამ საპროცესო შეთანხმებამ სასამართლოს მოუხსნა ვალდებულება, ემსჯელა და გამოეტანა ვერდიქტი უშუალოდ საქმის შესახებ – მართლაც არის თუ არა მყარი ის მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზე სამ ფოტოგრაფს უცხო ქვეყნის სასარგებლოდ ჯაშუშობაში დაედო ბრალი?

ჩხრეკისას ამოღებული 13 დოკუმენტი, 2004 წლს განხორციელებული სატელეფონო ზარები და ოთხი ალია-რებითი ჩვენება – გამოძიებისთვის ეს

საკმარისი მტკიცებულება აღმოჩნდა, რომ სამი ფოტოგრაფი ჯაშუშობაში, ერთი კი ჯაშუშური საქმიანობის მხარდაჭერაში ემხილებინა.

22 ივლისის სასამართლო პროცესამდე რამდენიმე საათით ადრე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ „საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე“ საკუთარ ვებგვერდზე სასამართლოსადმი შუამდგომლობის ტექსტთან ერთად გამოაქვეყნა აბდალაძის, ქურციკიძისა და გედენიძის სახლებში ჩხრეკის დროს აღმოჩენილი დოკუმენტები, რომელთა ნაწილიც, გამოძიების მტკიცებით, ფოტოგრაფებმა რუსულ სპეცსამსახურებს გადასცეს, ნაწილის გადაცემა კი ვერ მოასწერეს.

ქურციკიძის „საქალაქდემი“ ოთხი დოკუმენტი.

1. „სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საქართველოს პრეზიდენტის სტუმრობის დროს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის და შსს-ს ერთობლივ ღონისძიებათა მუდმივმოქმედი გეგმა“

2. „ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში პრეზიდენტის სტუმრობის დროს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის და შსს-ს ერთობლივ ღონისძიებათა მუდმივმოქმედი გეგმა“

3. „რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში (დიდი დარბაზი) საქართველოს პრეზიდენტის სტუმრობის დროს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის და შსს-ს ერთობლივ ღონისძიებათა მუდმივმოქმედი გეგმა“

4. „საქართველოს პრეზიდენტის ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით წინასწარი ჯგუფის მოქმედების მუდმივმოქმედი გეგმა“

ოთხივე დოკუმენტი 2006 წლით თარიღდება და ოთხივეს ზედა მარჯვენა კუთხეში აქვს წარწერა „საიდუმლო, ეგზ. №5“. დოკუმენტების შინაარსი მთლიანად დაფარულია შავი მარკერით პროკურატურის მიერ, რადგან საიდუმლო ინფორმაციას შეიცავს. ორ დოკუმენტს ხელს აწერს შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი.

■ „ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?“ „ღიას“, – რიგრიგობით, აუღელვებლად უკასუსხა სამივე ბრალდებულმა. ფოტორეპორტიორების უდანაშაულობას ორ კვირაზე მეტია ქუჩის გამოსვლებით ამტკიცებენ ჟურნალისტები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.



ფოტორეპორტიორების მხარდასაჭერი აქცია საპატრიარქოსთან, 21 ივლისი 2011

ფოტო: ლ. ლაშაძე

საქალაქში, სადაც აბდლაძის ბინის ჩხრეკის დროს ამოღებული ინფორმაცია ინახება, 6 დოკუმენტია. არც ერთ დოკუმენტს არ ანერია, რომ ის საიდუმლოა.

სამ დოკუმენტში ევროსაბჭოს, გაეროს და ეუთოს სტრუქტურებში მომუშავე საქართველოს მოქალაქეთა სიებია. ამ დოკუმენტებს არც თარიღი აქვს და მათზე არც ისაა მითითებული, რომელი უწყების კუთვნილებაა ეს ინფორმაცია. დოკუმენტების შინაარსი დაფარულია და მხოლოდ სათაურები იკითხება.

შემდეგი სამი დოკუმენტი, რომელიც აბდლაძის საქალაქში ინახება, 2011 წლის ივნისის თვით თარიღდება და საქართველოში აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ელდარ მამედიაროვის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, პრემიერ ნიკა გილაურთან და საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან შეხვედრების სტენოგრაფულ ჩანაწერებს უნდა წარმოადგენდეს.

ამ დოკუმენტების შინაარსის დაახლოებით ორი მესამედი დაფარულია.

მიხეილ სააკაშვილისა და მამედიაროვის შეხვედრის სტენოგრაფიული ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ შეხვედრა 14 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართა, 25 წუთს გრძელდებოდა და მას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე, საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში თეიმურაზ შარაშენიძე და „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ ვიცე-პრეზიდენტი

ელმად ნასიროვიც ესწრებოდნენ.

საქართველოს პრეზიდენტი ასე იწყებს საუბარს: „მოგესალმებით, მიხარია, რომ გვესტუმრეთ (გადახაზულია ერთი წინადადება) ასე რომ, თქვენ სახლში იმყოფებით“.

ამ დოკუმენტის დიდი ნაწილი გაშავებულია. ღიადაა დატოვებული, მხოლოდ ზოგადი ფრაზები, მაგალითად – სააკაშვილი: „გეთანხმებით, მაგრამ ამავე დროს,“; ელდარ მამედიაროვი: „ძნელია იმის თქმა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები“; ეშარ ნასიროვი (სოკარი): ბატონო პრეზიდენტო, მინდა „გთხოვოთ კურთხევა...“.

პრეზიდენტის ყოფილი პირადი ფოტოგრაფის – ირაკლი გედენიძის საქალაქში მხოლოდ სამი დოკუმენტია. მათ შორისაა 2011 წლის 4-6 ივლისს ესტონეთის პრეზიდენტის ტომას ჰენდრიკ ილვესის საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ორგვერდიანი პროგრამა. ეს ერთადერთი დოკუმენტია, რომლის შინაარსიც მთლიანად ღიაა და იქ არაფერია გადახაზული. პროგრამა ძალიან ჰგავს ჟურნალისტებისთვის დარიგებულ პრესრელიზს და შეიცავს ასეთ ინფორმაციას: 17.00 – ჩამოსვლა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში; 18.30 – შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან; 19.30 – პრეზიდენტების ერთობლივი განცხადებები მასმედიისთვის.

გედენიძის საქალაქში ასევე დევს ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენ-

ტის ბატონ ტომას ჰენდრიკ ილვესის საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დროს, შსს-სა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ერთობლივი მოქმედებების გეგმა.

დოკუმენტს ხელს აწერს შს მინისტრი ივანე მერაბიშვილი.

აქაც დოკუმენტის დაახლოებით 2/3 გადახაზულია. იმ ნაწილში, რაც ჩანს, იკითხება საპატრულო სამსახურისა და შს სხვა დანაყოფების მზადყოფნის დეტალები იმ ადგილებში, სადაც პრეზიდენტების მისვლა იყო დაგეგმილი. მათ შორისაა, მაგალითად, რესტორანი „ფაეტონი“.

დოკუმენტს მარჯვენა ზედა კუთხეში აწერია სიტყვა „საიდუმლო“ და ეგზ №1.

გედენიძის სახლის ჩხრეკისას აღმოჩენილია ასევე შპს „სახელმწიფოს უზრუნველყოფა“-ს მუშების სია. ჩამონათვალში 33 პუნქტია და მონაცემები მთლიანად გასაიდუმლოებულია. აქვეა დამლაგებლების 18-პუნქტიანი სია. თუმცა ამ დოკუმენტზე არ არის მითითებული, რომელი უწყების თანამშრომლებზეა საუბარი და არც დოკუმენტის გრიფი.

პროკურატურის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებს შორის იყო ასევე სატელეფონო ზარების სქემა. პროკურატურის მტკიცებით, ეს სქემა ადასტურებს, რომ რუსეთის გრუ-ს აგენტების სინიციინისა და ოკროკოვის კუთვნილ ნომრებზე ზურაბ ქურციკიძე ხშირად



ფოტო: დენა მახარაძე

ფოტორეპორტიორების მხარდასაჭერი აქცია გლდანის ციხესთან, 20 ივლისი 2011

რეკავდა. სქემაში დაფიქსირებული სამივე ნომერი ქართულ მობილურ ოპერატორებს ეკუთვნით. ამ დოკუმენტის მიხედვით, ყველა ზარი 2004 წელს რამდენიმე თვის განმავლობაშია განხორციელებული. პროკურატურას არ წარმოუდგენია პირდაპირი მტკიცებულება, რომ კავშირი ქურციკიდესა და გრუს აგენტებს შორის 2004 წლამდე და შემდეგაც გრძელდებოდა.

გამოძიების ვერსიით, ყველა დოკუმენტის ასლი, რომელიც აბდალაძისა და გედენიძის კომპიუტერებში იპოვეს, ასევე იპოვეს ქურციკიდის სახლის ჩხრეკისას. სწორედ ეს აფიქრებინებს გამოძიების მხარეს, რომ აბდალაძე და გედენიძე რუს აგენტებს ინფორმაციას ქურციკიდის მეშვეობით აწვდიდნენ. თუმცა, გამოძიებას არ წარმოუდგენია არანაირი პირდაპირი მტკიცებულება, აღიარებითი ჩვენებების გარდა, რომ 2011 წელს აბდალაძის მიერ მოპოვებული და ქურციკიდისთვის გადაცემული ინფორმაცია შემდეგ გრუს აგენტების ხელში ხვდებოდა. ქურციკიდისა და გრუს აგენტების კავშირზე 2004 წლის შემდეგ გამოქვეყნებულ მასალებს შორის არანაირი მტკიცებულება არ მიუთითებს.

საერთაშორისო ფოტოსააგენტოს თანამშრომელი 37 წლის ზურაბ ქურციკიძე საქმეში რომ მთავარი ფიგურანტია, ეს პროკურატურის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალიდანაც ჩანს.

პროკურატურის ინფორმაციით, ფო-

ტორეპორტიორი ქურციკიძე გრუს აგენტებთან 2004 წლიდან თანამშრომლობს. სწორედ ამ წელს იგი მივლინებით მოსკოვში ჩადის, სადაც ხდება მისი გადაბირება რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს საქართველოში მყოფი კოორდინატორის, ამჟამად საქართველოს სამართალდამცავების მიერ ჯაშუშობის ბრალდებით ძებნილი ანატოლი სინიცინის მიერ. სინიცინი ქურციკიძეს 1000 დოლარს უხდის და თანამშრომლობის სანაცვლოდ შემდგომაც ფულად ანაზღაურებას ჰპირდება.

ქურციკიძე იღებს ვალდებულებას, რომ სინიცინს პერიოდულად გადასცემს ინფორმაციას, რომლის მოპოვებასაც შეძლებს. სინიცინი ქურციკიძეს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს თბილისის რეზიდენტურის ხელმძღვანელთან სერგეი ოკროკოვთან და რუსეთის ფედერაციის მოქალაქესთან ვინმე ალექსეისთან აკავშირებს.

გამოძიების მტკიცებით, კონკრეტულ დავალებებს ქურციკიძე სწორედ ალექსეისგან იღებს. მიღებული დავალებების უფრო ეფექტურად შესასრულებლად ქურციკიძე ჯაშუშურ საქმიანობაზე ითანხმებს თავის კოლეგებს – საქართველოს პრეზიდენტის პირად ფოტოგრაფს ირაკლი გედენიძეს და საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ფოტოგრაფსა და ამავდროულად „ალია-ჰოლდინგის“ ფოტორეპორტიორს გიორგი აბდალაძეს.

თუმცა, პროკურატურის განცხადებაში მითითებულია, რომ იმ დროს, როცა ქურციკიძემ აბდალაძეს თანამშრომლობა შესთავაზა, ეს უკანასკნელი უკვე სხვა არხებით ისედაც ჰყავდათ გადაბირებული რუსეთის სპეცსამსახურებს. ამას აბდალაძე თავის აღიარებით ჩვენებაში ამტკიცებს.

თავისი გადაბირების თარიღად აბდალაძე 2002 წელს ასახელებს (უფრო კონკრეტული თარიღი არ ახსოვს). იგი ჰყვება, რომ გაზეთ „კვირის პალიტრისთვის“ ცხინვალის რეგიონიდან რეპორტაჟს ამზადებდა, როდესაც სამხრეთ ოსეთის უმიშროების კომიტეტის თანამშრომლებმა დააკავეს. აბდალაძე რამდენიმე დღით ცხინვალის ციხეში მოხვდა, სადაც რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები ოჯახის წევრების მოკვლით დაემუქრნენ და თანამშრომლობა აიძულეს.

აბდალაძე მართლაც იყო დაკავებული ცხინვალში, თუმცა მამუკა არემიძე, რომელიც აბდალაძის ცხინვალის ციხიდან დახსნაში მონაწილეობდა, ზუსტად იხსენებს, რომ ეს იყო ორი წლით ადრე, 2000 წლის 8 მაისს. იმავეს ადასტურებს „რუსთავი 2“-ის არქივის კადრებიც.

აბდალაძის აღიარებითი ჩვენება და მისი მხრიდან საპროცესო შეთანხმების მოთხოვნა მოულოდნელი იყო, რადგან დაკავების მომენტიდან იგი ყველაზე თავგამოდებით იცავდა საკუთარი უდანაშაულობის ვერსიას – იგი შიმშილობდა და მოდულის შენობიდან თითქმის

ყოველ დღე აგზავნიდა წერილებს, სადაც პრეზიდენტ სააკაშვილს თავისუფალ მედიაზე ზენოლაში ადანაშაულებდა.

„მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი და ჩემი კოლეგების დაკავება 26 მაისის დარბევის ფოტოებს უკავშირდება. მე ბევრი ვიფიქრე და ამ დასკვნამდე მივიღე... მე თავს გავწირავ ამ სიმართლის დასადგენად, რადგან თქვენი იმედი მაქვს ყველასი. ერთადერთი, რაც შეგვიძლია ჩვენ, მხოლოდ ერთად, არ მივცეთ ახალი „ენვერების“ სცენარების განხორციელების უფლება. დღეს ებრძვიან „ალიას“, ხვალ ვინ იქნება...“, – წერდა აბდალაძე შს სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლაციიდან.

პირველებმა აღიარებითი ჩვენება სამართალდამცავებს, დაკავებიდან მეორე დღესვე, პრეზიდენტის პირადმა ფოტოგრაფმა და მისმა ფოტორეპორტიორმა მიუღწეველ მისცეს. ირაკლი გედენიძე ამბობს, რომ ზურაბ ქურციკიძე მას აშანტაჟებდა და სხვადასხვა ინფორმაციის გადაზავნას სთხოვდა. პროკურატურა არ მიუთითებს ირაკლი გედენიძის უშუალო კავშირზე გრუ-ს აგენტებთან.

გამოძიების ინფორმაციით, სქემა ასეთი იყო: გედენიძე და აბდალაძე მნიშვნელოვან დოკუმენტებს მოიპოვებდნენ და უგზავნიდნენ ქურციკიძეს, რომელიც, თავის მხრივ, ამ დოკუმენტებს „ალექსის“ აწვდიდა.

პროკურატურის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ წერილში აღნიშნულია, რომ 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ალექსის მითითებით, ზურაბ ქურციკიძემ და გიორგი აბდალაძემ, საომარი მოქმედებების ზონაში, საქართველოს სამხედრო ძალისა და ტექნიკის გადაადგილების, დისლოკაციის, ჯარისკაცების მორალური მდგომარეობის და ა.შ. ამსახველი ფოტომასალა გადაიღეს, რაც შემდეგ გრუ-ს მიაწოდეს. თუმცა, პროკურატურის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში 2008 წლით დათარიღებული არცერთი დოკუმენტი არ ფოტო არ ფიგურირებს.

შს-სა და პროკურატურის მიერ მო-

პოვებული მტკიცებულებების შესწავლა არ დასცალდა თბილისის საქალაქო სასამართლოს. ვიდრე დაკავებული ფოტორეპორტიორების საქმის არსებითი განხილვა დაინიშნებოდა, პროკურატურის ინფორმაციით, სამივე დაკავებულმა საპროცესო შეთანხმება მოითხოვა.

შეთანხმება შედგა. პროკურორმა სასამართლოს ბრალდებულთა განთავისუფლების შუამდგომლობით მიმართა და საფუძვლად შემდეგი გარემოებე-

## ■ გამოძიებას არ წარმოდგენია

### პირდაპირი მტკიცებულება,

### რომ 2011 წელს აბდალაძის

### მიერ მოპოვებული და

### ქურციკიძისთვის გადაცემული

### ინფორმაცია შემდეგ გრუ-ს

### აგენტების ხელში ხვდებოდა.

### ქურციკიძისა და გრუ-ს

### აგენტების კავშირზე 2004 წლის

### შემდეგ არაფერი მიუთითებს.

ბი დაუსახელა: „ზურაბ ქურციკიძემ, გიორგი აბდალაძემ და ირაკლი გედენიძემ არა მარტო აღიარეს ჩადენილი დანაშაული, არამედ ნებაყოფლობით და დროულად აცნობეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტს რუსეთის ფედერაციის სპეციალური სამსახურების ცალკეული საიდუმლო თანამშრომლების და მათთან კონფიდენციალურ კავშირზე მყოფი პირების ვინაობა, ამ სამსახურების კონკრეტული სადაზვერვო-ოპერატიული ამოცანები, ინფორმაციების მოპოვება-გადაცემის მეთოდები, ტაქტიკა და ორგანიზაცია, აგრეთვე, მონაცემები მათ საფარქვეშ მოქმედი ორგანიზაციების თაობაზე“.

ამის შემდეგ მოსამართლემ მთავარი კითხვა დასვა:

„ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?“

„დაიხ“, – რიგრიგობით, აუღელვებლად უპასუხა სამივე ბრალდებულმა.

სამი დაკავებული ფოტოგრაფის უდა-

ნაშაულობას ორ კვირაზე მეტია ქუჩის გამოსვლებითა და საგანგებო განცხადებებით ამტკიცებენ ჟურნალისტები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

ამ აქტივობას მოჰყვა უპრეცედენტო შედეგი – შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი ფოტორეპორტიორების საქმეში აქტიურად ჩართულ ჟურნალისტებს პირადად შეხვდა. ჟურნალისტებმა მას შეხვედრაზე ფოტორეპორტიორების თავდებით გათავისუფლება სთხოვეს, რაზეც კატეგორიული უარი მიიღეს. „პირველ რიგში, ჩვენი ინტერესი მათი დასჯა კი არა, არამედ ქსელის, სხვა უფრო დიდ ჯაშუშურ ქსელზე გასვლა“, – თქვა მან. ამ ინტერესის დაკმაყოფილება სამართალდამცავებმა მინისტრის განცხადებიდან რვა დღეში შეძლეს.

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები დამაჯერებელი აღმოჩნდა მოსამართლისთვის. მან ჩათვალა, რომ ფოტოგრაფები აღარ წარმოადგენენ საფრთხეს საზოგადოებისათვის, აღარ შეეძლოთ საქართველოსათვის საზიანო საქმიანობის გაგრძელება და მათთან საპროცესო გარიგება მიზანშეწონილად მიიჩნია.

„ცნობილ იქნას დამნაშავედ!“ „დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან და სასამართლო სხდომის დარბაზიდან!“ – ყოველი ასეთი განცხადების შემდეგ დაკავებული ფოტოგრაფები თანმიმდევრობით ინაცვლებდნენ ბრალდებულებისათვის გამოყოფილი სკამებიდან სასამართლო დარბაზში ახლობლების გვერდით.

განაჩენის წაკითხვის შემდეგ დარბაზიდან გამოსულები ერთადერთ კითხვას სვამდნენ – ვინ დარჩა გამარჯვებული ფოტოგრაფების საქმეში? ბრალდება, რომელმაც გასაიდუმლოებული დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგაც ვერ მოახერხა საზოგადოება ბოლომდე დაარწმუნებინა ფოტოგრაფთა ჯაშუშობაში თუ ფოტოგრაფები, რომლებმაც 22 ივლისს დადებული საპროცესო შეთანხმებით თავისუფლება მოიპოვეს, სანაცვლოდ კი მთელი ცხოვრება „ჯაშუშის“ დამლის ტარება მოუწევთ? **📍**

მიკროავტობუსები

# 80 თეთრი - სახვისის მიუხედავად

ოფიციალური განმარტებით, მგზავრობის გაძვირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ამ სისტემის ლეგალური დაბეგვრის რეჟიმში მოქცევაა. მიკროავტობუსების მძღოლები კი, მგზავრებთან ერთად, აპროტესტებენ გაძვირებულ ფასს და უკმაყოფილებას საიჯარო ხელშეკრულებების გამოც გამოთქვამენ.

ნინო რობაქიძე



ფოტო: ლიანა ბარსუღაძე

სამარშრუტო ტაქსის საფასურის გაძვირებამ მგზავრების რაოდენობაზე იმოქმედა, თბილისი, ივლისი 2011

„ქალბატონო, მე რა შუაში ვარ? ჩვენ ხომ არ გაგვიძვირებია მგზავრობის გადასახადი? დარეკეთ „თბილისის მიკროავტობუსის“ ცხელ ხაზზე და იქ გიპასუხებენ!“ – ეუბნება მგზავრობის საფასურის გაზრდით უკმაყოფილო მგზავრებს №17 მიკროავტობუსის მძღოლი და გაღიზიანებულ ქალბატონს ცხელი ხაზის ნომერს კარნახობს.

მოყვითალო ფერის ახალმა მიკროავტობუსებმა კონდიციონებით, უსაფრთხოების ზომების დაცვითა და, რაც მთავარია,

მგზავრობის 80-თეთრიანი ტარიფით №4 მიკროავტობუსის ძველ ხაზზე, გამოანაკლისის სახით, სულ ორი დღე იარეს. უკვე 17 ივლისის დილას კი, მგზავრებს თითქმის ყველა სხვა ხაზის მიკროავტობუსში ახალი ტრაფარეტი დახვდათ: მგზავრობა – 80 თეთრი.

ეს ორმაგი უსიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა თბილისელებისთვის. ჯერ მგზავრები იმასაც ვერ შეგუებოდნენ, რომ №4 ხაზზე დანიშნული ახალი მიკროავტობუსებით

მგზავრობა გაძვირდა. ბევრი ბოლო წუთამდე არგუმენტად იშველიებდა იმ ფაქტს, რომ საკრებულოს ვებგვერდზე დღემდე დევს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, მამუკა ახვლედიანის განცხადება იმის შესახებ, რომ მგზავრობის ფასი 2012 წლამდე უცვლელად შენარჩუნდება. შემდეგ კი ისიც გაირკვა, რომ ამიერიდან 80 თეთრი ეღირება არა მხოლოდ №4-ით, არამედ ყველა ძველი – მორყეული, დახეული და ჭუჭყიანი სკამებით, უფანჯრო სალონი-

ხომავნია "თბილ ლინის" მიხე სანაქმეხაჟო ტაქსების მძღოლებისთვის შათაჟახაჯილი სანიჯაჟო ხაღმეხაჯილი ხაღმეხიჟი ჟიჟოზა:

- ▶ ხელშეკრულების 10.4.6, 10.4.13, 11.2 – მუხლების მიხედვით სახელ-შეკრულებო პერიოდში მძღოლი თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს ავტომობილთან დაკავშირებული, პრაქტიკულად, ყველა ხარჯის დაფარვას – ზეთის გამოცვლის, ფილტრების, საბურავების, ექსპლუატაციის დროს აუცილებელი ცვეთით გამოწვეულ ხარჯებს, რემონტს, ტექნიკურ კონტროლს და სხვა.
- ▶ ხელშეკრულების 10.4.14 მუხლის მიხედვით, მძღოლი თავისი ხარჯით ასხამს სანავს და ფინანსურ ვალდებულებას იღებს უხარისხო სანავსით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში. ბუნებრივია, მძღოლებისთვის სანავსის შექენა შესაძლებელი იქენა მხოლოდ საცალო ფასში მაჟინ, როცა კომპანიის მიერ ყველა სამარშრუტო ტაქსისთვის სანავსის შექენას იმოქმედებდა საბითუმო შეღავათიანი ფასი, რაც მგზავრობის ღირებულებაზეც აისახებოდა.
- ▶ ხელშეკრულების 11.1.1 მუხლის თანახმად, მძღოლს არ აქვს შესაძლებლობა საჭირო ტექნიკური მომსახურების დაფარვის დროს ბაზარზე, კონკურენტულ რეჟიმში მოქმედ კომპანიებთან დაამყაროს კავშირი და ყველაზე იაფი მომსახურებით ისარგებლოს, ვინაიდან ხელშეკრულება მას ავალდებულებს ყველა, მათ შორის წვრილმანი სამუშაოებზეც კი, კომპანია „ჯი-თი-მოტორსში“ განახორციელოს. ნინაღმდეგ შემთხვევაში, ეს ჩათვლება ხელშეკრულების დარღვევად და ის დაკარგავს საგარანტიო მიზნით კომპანიის ანგარიშზე დადებულ 500 ევროს.

თა და ფეხზე მდგომი მგზავრებით სავე – მიკროავტობუსით მგზავრობაც.

მას შემდეგ, თითოეული გადაადგილება ქალაქში ნამდვილ სეირს დაემსგავსა. მძღოლებთან ყოველდღიური ჩხუბი ხშირად ინდივიდუალური პროტესტით მთავრდება – ზოგიერთი მგზავრი ჩასვლის წინ 50-თეთრიან მონეტას დემონსტრაციულად აწვდის მძღოლს და კატეგორიულ უარს ამბობს, 80 თეთრი გადაიხადოს იმავე ცუდი ხარისხის მომსახურებაში, რაც სულ ერთი კვირის წინ 50 თეთრი უჯდებოდა.

გაბრაზებული მგზავრები უქმეყოფილებას, ძირითადად, მგზავრობისას, მძღოლებთან გამოთქვამენ. თუმცა შექმნილი სიტუაციით თავად მძღოლებიც გაღიზიანებულები ჩანან. ნინა კვირას გაზრდილი ტარიფის შედეგად შემცირებული მგზავრების რაოდენობას უწიოდნენ №4 მიკროავტობუსის მძღოლებიც და ამბობდნენ, რომ ფასის გაზრდა მათი ინიციატივა არ ყოფილა.

„იმ დღეს, როცა პირველად გაძვირდა №4 და ხალხი უქმეყოფილებას გამოთქვამდა, მოვიდნენ „თბილისის მიკროავტობუსიდან“ და გვეუბნებოდნენ – მოანერეთ ხელი განცხადებას, თითქოს მძღოლების მოთხოვნაა ფასის გაძვირებაო, ჩვენ არ მოვანერეთ, რად გვინდა? ჩვენ მინც კაპიკები გვრჩება მიუხედავად იმისა, 50 ელრება თუ 80, ხალხი კიდევ გაზრდილი ფასის გამო ველარ მგზავრობს“, – ამბობს „ლიბერალთან“ საუბარში №4-ის ერთ-ერთი მძღოლი, რომელსაც სამსახურის დაკარგვის შიშით ჟურნალისტებთან ვინაობის გამხელა არ სურს.

ამავე ხაზის მძღოლების თქმით, 15 ივლისს „თბილისის მიკროავტობუსის“ ხელმძღვანელმა დავით ასანიძემ და მერიის ტრანსპორტის სამსახურის უფროსმა აკაკი ჯოხაძემ მათ პირობა მისცეს, რომ რამდენიმე დღეში ქალაქის სხვა მარშრუტებზეც 80 თეთრამდე გაიზრდებოდა მგზავრობის ფასი, რაც ერთ რომელიმე ხაზზე მგზავრების რაოდენობის შემცირებას აღარ გამოიწვევდა.

„ლიბერალის“ ჟურნალისტთან საუბარში იმავეს ადასტურებენ სხვა ხაზების მძღოლებიც:

„გუშინ საღამოს მოვიდნენ კომპანიის წარმომადგენლები და გვითხრეს, რომ ქალაქში ყველა მიკროავტობუსს უნდა ჰქონ-

დეს ერთი ფასი ანუ 4 ნომრის ფასს უნდა გაუთანაბრდესო, ჩვენც მოვუმატეთ“, – ამბობს №2ა მიკროავტობუსის მძღოლი, რომელიც ყველა სხვა მძღოლის მსგავსად ვინაობას არ ასახელებს.

„გვითხრეს 200 ლარით დაგაჯარიმებთ თუ არ გაზრდით ფასსო და რა გვექნა?“ – ამბობს №49 მიკროავტობუსის მძღოლი.

„ქალბატონო, ეს ყველაფერი ჩემი ბრალი რომ იყოს, ელიავამდე ჩასვლას ვერ მოვასწრებდი, ისე დამიჭერდნენ“, – ებოდიშება №102-ის მიკროავტობუსის მძღოლი გაღიზიანებულ ქალბატონს და საერთოდ არ ართმევს მგზავრობის საფასურს.

„ყველამ ვიცით, რომ კომპანიამ გააძვირა მგზავრობა, ჩვენ ვინ გაგვაბედინებდა?“ – გვეუბნება №17 ხაზზე მომუშავე მძღოლიც.

კომპანია, რომელზეც მძღოლები საუბრობენ, „თბილისის მიკროავტობუსია“. ეს კერძო კომპანია სულ რამდენიმე დღის წინ შეიქენა და თბილისის მერიის სამარშრუტო ტაქსების 2010 წლის ტენდერში გამარჯვებული ოთხი კომპანია გააერთიანა.

მერიის მიერ ტენდერზე გამოტანილი სამარშრუტო მომსახურების 5 ლოტი თავიდან 4 სხვადასხვა კომპანიის ერგო. თუმცა, სატენდერო დოკუმენტაციის გადამოწმების შემდეგ გაირკვა, რომ „თბილ ლაინი“, „ფაბლიქ ქარი“, „თბილ ქარი“ და „კაპიტალ გრუპი“ ტენდერის გამოცხადების შემდეგ, 2010 წლის დეკემბერში შექმნილი ფირმები, ყველა ერთსა და იმავე მისამართზე დარეგისტრირებული, სადაც, რეალურად, „ჯი-ემ-სი“ ჯგუფის ერთ-ერთი რესტორანი მდებარეობს და რეგისტრაციის მოსაკრებელიც ერთსა და იმავე ბანკში 5-წუთიანი შუალედით აქეთ გადახდილი.

შემდეგ ამ კომპანიებს უკვე ერთი მმართველი კომპანია დაენიშნათ და მათი მისამართიც ოფიციალურად გაერთიანდა – ვაგზლის მოედანი №2, თუმცა, იმ ოთხი კომპანიის მოძენა, რომელსაც ეს ჯგუფი აერთიანებს, მინც ვერ ხერხდება. „თბილ ლაინის“ მისამართი და ტელეფონის ნომერი არც ქალაქის საინფორმაციო ცენტრ 09-ს აქვს, არადა სწორედ ამ კომპანიის დირექტორი გახდა მმართველი კომპანიის – „თბილისის მიკროავტობუსის“ ხელმძღვანელი და სწორედ „თბილ ლაინი“ სთავაზობს მძღოლებს საიჯარო ხელშეკრულებებს.

სამარშრუტო ტაქსების მძღოლების უკ-



ფოტო: მსაქმე ფაჩავაძე

ახალი სამარშრუტო ტაქსების გაჩერება, თბილისი, ივლისი 2011

## ■ სამარშრუტო ტაქსების

### მძღოლების უკმაყოფილების

### მნიშვნელოვანი მიზეზი

### ხელშეკრულებებია. თბილისის

საკრებულოს წევრის,

თინათინ ხიდაშელის თქმით,

ეს დოკუმენტაცია მძღოლებს

სამუშაო ადგილის შენარჩუნების

გარანტიას საერთოდ არ აძლევს.

მაყოფილების კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი სწორედ ეს ხელშეკრულებებია. თბილისის საკრებულოს წევრის, თინათინ ხიდაშელის თქმით, ეს დოკუმენტაცია მძღოლებს სამუშაო ადგილის შენარჩუნების გარანტიას საერთოდ არ აძლევს.

„საიჯარო ხელშეკრულებით, რომლებსაც „თბილ ლაინი“ ახალ, „ფორდის“ მარკის „მარშრუტკებზე“ მომუშავე მძღოლებს სთავაზობს, მძღოლები ვალდებული არიან დარეგისტრირდნენ, როგორც ინდივიდუალური მენარჩევი და არა როგორც დაქირავებული მუშაკები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მძღოლი ვალდებულია, სრულად გადაინაწილოს პასუხისმგებლობები ბიზნესის მფლობელთან, ანუ „თბილ ლაინთან“ ერთად, საკუთარი ხარჯებით შეაკეთოს ავტომობილი, ჩაასახს ბენზინი და დასჯერდეს იმ შემოსავალს, რომელიც ყოველდღიური და ყოველთვიური გადასახადების გადახდის შემდეგ ან დარჩება ხაზზე მუშაობიდან ან არა“.

ხიდაშელის განმარტებით, ხელშეკრულებაში არაა ნახსენები მძღოლების ხელფასი და ასევე ძალიან რთულია ახალი ავტომობილების გამოსყიდვის პირობებიც. „თუ დათვლით იმ გადასახადებს, რაც მძღოლმა ყოველთვიურად უნდა იხადოს ავტომობილის გამოსასყიდად, გამოდის, რომ 10 წელიწადში დაახლოებით 50 ათასი ევროს გადახდა მოუწევს. მძღოლის საკუთრებაში კი ბოლოს გადავა 10 წლის განმავლობაში ყოველდღიურად მომუშავე, იმ დროისთვის უკვე ძველი ავტომობილი“.

„თბილ ლაინის“ მიერ წარმოდგენილი საიჯარო ხელშეკრულების პირობებს სა-

მარშრუტო ტაქსების მძღოლებიც აპროტესტებენ, მაგრამ, როგორც თავად ამბობენ, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, „თბილისის მიკროავტობუსი“ მათ სამსახურიდან გაშვებით ემუქრება.

2010 წელს, როცა მერიამ სამარშრუტო ტაქსებზე ტენდერი გამოაცხადა, მძღოლებმა რამდენიმე საპროტესტო აქცია მოაწყვეს და გაიფიცნენ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს წარმომადგენლები კი მათ არწმუნებდნენ, რომ არცერთი მათგანი ამ ცვლილების გამო სამსახურს არ დაკარგავდა. თუმცა, ნინა კვირას, სხვადასხვა სამარშრუტო ტაქსების მძღოლების გამოკითხვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ „თბილ ლაინის“ მიერ წარდგენილი საიჯარო ხელშეკრულების გარდა, მფლობელ კომპანიას მათთან დღემდე არანაირი კონტრაქტი არ გაუფორმებია.

„გვითხრეს, რომ თუ მანქანების ერთ წელიწადში გამოსყიდვას მოვინდომებთ, თვეში დაახლოებით 500 ევრომდე მოგვინვეს გადახდა. თან 500 ევროს საგარანტიო შესატანად გვთხოვენ, რაც მძღოლებიდან თითქმის არავის არ აქვს“, – ამბობს №4 სამარშრუტო ტაქსის მძღოლი, რომელიც უკვე 4 წელზე მეტია, სამარშრუტო ტაქსიზე მუშაობს. მისი თქმით „თბილ ლაინის“ მიერ შეთავაზებულ საიჯარო ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია კიდევ ერთი გადასახადი – მარშრუტზე მოძრაობის 10 ლარი ყოველდღიურად, რაც თვეში, სამუშაო დღეების მიხედვით, 260 ლარს შეადგენს. თუმცა მძღოლები შიშობენ, რომ მგზავრობის ფასის გაზრდასთან ერთად, მგზავრების რაოდენობა შემცირდება, მარ-

შრუტზე მოძრაობის ყოველდღიური გადასახადი კი მოიმატებს და მძღოლებს კიდევ უფრო დიდ ტვირთად დაანგვბა.

სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის გაძვირება საგრძნობი ტვირთი იქნება თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვისაც. მგზავრობის ღირებულების 80 თეთრამდე გაზრდის შემდეგ, თბილისის მერიამ განაცხადა, რომ სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის მგზავრობა მხოლოდ 40 თეთრი ელირება, რაც იმას ნიშნავს, რომ ფასის ნახევარს ქალაქის მერია გადაიხდის. თუმცა თბილისის 2011 წლის ბიუჯეტში, ყვითელი ავტობუსებისგან განსხვავებით, სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის სუბსიდირების ხარჯი გათვალისწინებული არ არის. სექტემბრამდე მერია სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის გაძვირებულ ხარჯებს სპეციალური პროგრამიდან დაფარავს. სექტემბრის შემდეგ კი, როგორც მერიაში აცხადებენ, „სტატისტიკაზე დაყრდნობით მოხდება ხარჯების და ბიუჯეტის გადახედა და საჭიროების შემთხვევაში, თბილისის მერია მზად არის, გამოახსოს თანხები აღნიშნული პროგრამის გასაზრდელად“.

თუმცა, ქალაქის მთავრობა იმასაც აცხადებს, რომ სამარშრუტო ტაქსებზე მგზავრობის ფასის ზრდას ვერ აკონტროლებს. აქედან გამომდინარე, თუკი მერიამ ზუსტად არ იცის, რა ნიშნულამდე გაიზრდება მგზავრობის ტარიფი, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის მგზავრობის ფასის განახევრების იდეა შეიძლება ისევ მორიგი შეუსრულებელი დაპირება აღმოჩნდეს. ■

# მწვანე ზოლი

თბილისის მერია ძველი პარკების რეაბილიტაციას იწყებს, თუმცა ღია რჩება კითხვა – წაადგება თუ არა ეს პროცესი ქალაქის მწვანე საფარის გაფართოებასა და ჰაერის გაწმენდას.

## ცირა გვასალია



„გიობა“, „მზე“ და „ტიპ-ტოპი“ – სამივე მუშთაიდის პარკის ატრაქციონებია, რომლებიც უკვე დიდი ხანია, აღარ ფუნქციონირებს. ჟანგიანი ბოქლომი ადევს ერთ-ერთი საბავშვო ატრაქციონის შესასვლელსაც. აქ ათ წელზე მეტია, აღარ მუშაობს საბავშვო კაფეები, საქანელების უმრავლესობა კი ძველია.

„ზოგი ობიექტი სავალალო მდგომარეობაშია“, – ამბობს ირაკლი ბითაძე, შპს „მუშთაიდის კულტურისა და დასვენების პარკის“ გენერალური მენეჯერი და აცხადებს, რომ ახლად გამოჩენილი ინვესტორი სწორედ ამ რეალობას შეცვლის.

გეგმის თანახმად, ინვესტორი კომპანია „ჯეო-გოლდი“ მუშთაიდის პარკს 49 წლის განმავლობაში მართავს და მის რეაბილიტაციაში ერთ მილიონ დოლარს ჩადებს. ხელშეკრულების თანახმად, „ჯეო გოლდმა“ სამ წელიწადში უნდა დაასრულოს აღდგენითი სამუშაოები და გახსნას ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ძველი პარკი, სადაც მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზაა გაყვანილი.

„დაიდგება ახალი ექსტრემალური კარუსელი, ძველი კარუსელები კი, რომლებიც აღდგენას არ ექვემდებარება, შეიცვლება“, – ჰყვება ბითაძე, – „გაიმართება წარმოდგენები, ჩაფი-

ქრებულია სხვადასხვა ჯგუფებთან მოლაპარაკება, შეიძლება ერთი ჰოუმ-ბენდიც გვყავდეს, ჩატარდება ფესტივალები, რომლებზეც წარმოდგენილი იქნება კლასიკური მუსიკა, პოპი, ჯაზი“.

ამგვარ ცვლილებებს არა მხოლოდ მუშთაიდის ბაღში ელიან. მერიაში 2010 წლის ბოლოს დაიგეგმა ქალაქის ყველა ძველი პარკის რეაბილიტაციის პროცესი, რაც პარკებისთვის ინდივიდუალური ბიზნესპროექტების მომზადებას გულისხმობს. პროექტის თანახმად, დაინტერესებულ ინვესტორს მერია 49-წლიანი მართვის უფლებით გადასცემს პირველ ეტაპზე 5 პარკს. ესენია: მუშთაიდის პარკი, წითელი პარკი (ყაზბეგის გამზირზე), ვეტერანთა პარკი (ე.წ. კიკვიძის), ვარკეთილის გასართობი ცენტრი და ვაკის პარკი.

„საწყის ეტაპზე, როცა პარკებს სარეაბილიტაციოდ გავცემთ, ძირითადი ინტერესი ფისკალური ან მართვის საზღაურის მიღება არ იქნება“, – ამბობს მამუკა წონერია, მერიის სსიპ-ის „ქონების მართვის სააგენტოს“ ეკონომიკური სამსახურის უფროსი მრჩეველი, – „ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, რომ პარკებსა და რეკრეაციულ ზონებს მოდერნიზებული სახე მივცეთ და ისინი თანამედროვე ტიპის დასასვენებელ-კულტურულ და გასართობ

ცენტრებად გარდავქმნათ“. მისივე თქმით, ინვესტორი პარკის მართვის საფასურად წელიწადში მხოლოდ სიმბოლურ თანხას – 100 ლარს გადაიხდის, სამაგიეროდ, მერია მთლიანად მას მიანდობს პარკის აღდგენასა და მოდერნიზებას.

ყველა ის პარკი, რომელიც მერიამ ინვესტორებს სარეაბილიტაციოდ უნდა გადასცეს, რეკრეაციული ზო-



მუშთაიდის ბაღში მალე გაჩერებული და ჟანგიანი ატრაქციონები აღარ იქნება

ფოტო: ლევან ზორიანი

ნება. რეკრეაციული ზონა კი არის ადგილი, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას: ბაღს, ბულვარს, სკვერს, გაზონს. ამიტომ, თბილისის ხუთი პარკის რეაბილიტაციის მსურველ ინვესტორს ეკრძალება ტერიტორიის ფარგლებში მძიმე კონსტრუქციის შენობების აგება. დაშვებულია მხოლოდ

არსებული ინფრასტრუქტურის განახლება და ისეთი მსუბუქი კონსტრუქციების აშენება, როგორცაა ღია სათამაშო მოედნები, ექსტრემალური ატრაქციონები და პატარა კაფეები.

მერიის წარმომადგენლების თქმით, ინვესტორებისთვის ამ ვალდებულებების დაკისრებით ისინი ხსენებული ხუთი პარკის მწვანე ზოლის დაცვას შეეცდებიან. მუშთაიდის პარკის დი-

**■ ცვლილებებს არა მხოლოდ მუშთაიდის ბაღში ელიან. მერიაში დაიგეგმა ყველა ძველი პარკის რეაბილიტაციის პროცესი, რაც პარკებისთვის ინდივიდუალური ბიზნესპროექტების მომზადებას გულისხმობს.**

რექტორი კი ამბობს, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოს ფარგლებში გადაბეღავენ და შენამლავენ ხეებს, დარგავენ ახლებს და ასე ეცდებიან მოაგვარონ 3.8 ჰექტარზე გადაჭიმული პარკის მწვანე ზოლის პრობლემა, რომელსაც პარკის 60-70 პროცენტი უკავია.

თუმცა, საინტერესოა, კმარა თუ არა მსგავსი ღონისძიებები იმისთვის, რომ თბილისის მწვანე ქალაქად მივიჩნიოთ; ავტომობილების ტექნიკური შემონაშენების გაუქმების შემდეგ უკიდურესად დაბინძურებული ჰაერი კი თუნდაც იმავე რეაბილიტირებულ პარკებში მაინც გასუფთავდეს?

თბილისის გამორჩეულად მწვანე ქალაქი არც 1990-იან წლებამდე ყოფილა. საბჭოთა გეგმის მიხედვით, ქალაქში, სადაც 0,5 მილიონ ადამიანზე მეტი ცხოვრობს, სავალდებულო გამწვანებული სივრცე ერთ მოსახლეზე 15 კვადრატულ მეტრზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. თბილისის შემთხვევაში კი, ეს მაჩვენებელი არასოდეს აღემატებოდა 13 კვადრატულ მეტრს.

თუმცა, ბოლო პერიოდში მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა. თბილისის გენერალური გეგმის თანახმად, 2001 წლისთვის გამწვანებული სივრცის მაჩვენებელი კატასტროფულად შემცირდა და 5.6 კვადრატული მეტრი გახდა.

2011 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელშიც თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქებში გარემოს მდგომარეობა შეფასებული, ბოლო წლებში მდგომარეობა შესაძლოა, გართულდა კიდევ. კვლევაში წერია, რომ გაშენებული რაიონებისა და ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით, თბილისში პარკების, ეროვნული ბაღებისა და გამწვანების საერთო ფართობი „ძალზე მცირეა“.

თუმცა, სპეციალისტები ამბობენ, რომ იმის შესაფასებლად, თუ რამდენად „ისუნთქება“ ქალაქში და რამდენად ხელმისაწვდომია მწვანე სივრცეები მაქსიმალურად ბევრი თბილისელისთვის, საბჭოთა მეთოდი-

კა აღარ გამოგადგება. თითო სულ მოსახლეზე გამწვანების ფართობის გაცილებით უფრო ეფექტური ურბანული ინდიკატორი, რომელიც დღეს მსოფლიოში მოქმედებს, ასეთია: ერთ ადამიანს საკუთარი სახლიდან ათი წუთის სავალზე უნდა ჰქონდეს მწვანე საფარი იმისთვის, რომ დასაშვებ ნორმას აკმაყოფილებდეს.

თბილისის ტერიტორიაზე მწვანე საფარის ასეთ მცირე რაოდენობას გარემოს კვლევის ექსპერტი, ზურაბ ჯინჭარაძე 1990-იანი წლების ბოლოს არსებული ენერგოკრიზისით ხსნის.

**■ თბილისი გამორჩეულად მწვანე ქალაქი არც 1990-იან წლებამდე ყოფილა. თუმცა, ბოლო პერიოდში მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა. 2001 წლისთვის კი გამწვანებული სივრცის მაჩვენებელი კატასტროფულად შემცირდა და 5.6 კვადრატული მეტრი გახდა.**

„ამ დროს ქალაქის მმართველობა ვერ აკონტროლებდა მოსახლეობის მიერ ხეების მასიურ გაჩეხვას“, – ამბობს ჯინჭარაძე, რომელიც 2011 წლის კვლევაშიც მონაწილეობდა, – „მოგვიანებით, 1990-იანი წლების ბოლოს, მწვანე საფარი კიდევ ერთხელ მოექცა ზენოლის ქვეშ, მაშინ, როდესაც მოუწესრიგებელი და ქაოტური მშენებლობის ბუმის შედეგად პარკები და ეროვნული ბაღები სამშენებლო ზონებად გადაიქცა“.

მართლაც, 2009 წელს ქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის შედგენით, საკანონმდებლო დონეზე, თითქოს, დარეგულირდა რეკრეაციული ზონების სამშენებლო ზონებად გადაკეთების საკითხი. 8106 მეტრ ტერიტორიას რეკრეაციულის სტატუსი მიენიჭა, რამაც მთელი ეს სივრცე უხეში ჩა-

რევისგან და მშენებლობებისგან დაიცვა. მაგრამ ორ თვეში, იმავე წლის 11 სექტემბერს, ქალაქგანვითარების გეგმაში ცვლილებები შევიდა. რეკრეაციული ზონების მნიშვნელოვან ნაწილს სტატუსი ჩამოერთვა. შედეგად მივიღეთ ის, რომ თბილისის კორტეზის ტერიტორიაზე დღეს იუსტიციის სახლი შენდება, დიღმის ტყე-პარკში კი რესტორნები და ბენზინგასამართი სადგურები დღეს უკვე აბსოლუტურად ლეგალურად დგას.

„ჩვენ გენერალურ გეგმაში ამ ცვლილებას სასტიკად ვენინალმდგეგბოდით, ვითხოვდით, რომ საკრებულოს ეს გადაწყვეტილება არ მიეღო, იმიტომ, რომ ამით მწვანე შუქი ენთებოდა რეკრეაციულ ზონებში მშენებლობას, მაგრამ მათ მაინც მიიღეს ეს გადაწყვეტილება, – ამბობს ნიკოლოზ მჭავანაძე, ეკოლოგიური სამართლის ცენტრის ადვოკატი და დასძენს, რომ ქალაქის მუნიციპალიტეტი ამ გადაწყვეტილებას იმით ხნის, რომ თბილისი იზრდება და საჭიროა რეკრეაციული ზონების გაუქმება.

ამჟამად, თბილისის გამწვანებაზე თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური ზრუნავს. ამ უწყების წარმომადგენლები ამბობენ, რომ თბილისში დღეს არსებული გამწვანებული ფართობის მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებას ითვალისწინებენ და სწორედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით ადგენენ სხვადასხვა მწვანე პროექტებს. მათ შორისაა, მაგალითად 2009 წელს დაწყებული პროექტი „დარგე ხე, გაამწვანე თბილისი“, რომლის ფარგლებშიც სულ 60 ათასი წიწვოვანი თუ ფოთლოვანი ჯიშის ხე დარგეს.

პროექტს თავიდან საქართველოს პატრიარქიც გამოეხმაურა. ილია მეორემ მოუწოდა თბილისელებს, რომ „ყოველმა ადამიანმა წელიწადში უნდა დარგოს 12 ხე 12 მოციქულის სახელზე“.

ხეების დარგვის ერთ-ერთი ასეთი აქცია მოეწყო თბილისის ზღვის მახლობლად, სადაც თბილისის მერი გიგი უგულავა მივიდა.



თბილისის ახალი პარკი რიყეზე ვერ არ დასრულებულა, თუმცა იქაურობას უკვე საკმარისი ოდენობის ბეტონი „ამშვენებს“

ფოტო: ვარია ლომიჯვალაძე

„4-5 წლის მერეც, როცა ჩვენი ბავშვები გაიზრდებიან, ტერიტორია გამწვანებული იქნება, ეს უკვე მიღწევაა“, – აღნიშნა მაშინ უგულავამ.

თუმცა, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე დარგული ხეების ნაწილი დღეს მწვანე უკვე აღარაა – 60-70 სანტიმეტრის სიმაღლის ხეების უმრავლესობა გაყვითლებულია და ქარის მიმართულებითაა გადახრილი.

გარემოს დამცველები კიდევ ერთ პრობლემას გამოჰყოფენ. მაშინ, როცა ქალაქის ახალი პარკებისა და სკვერების დიდი ნაწილი ბეტონის სქელ ფენაშია ჩასმული, ახლად დარგული ხეების ნაწილი კი ზოგან გამხმარიც კია, ქალაქის მერია თბილისის მწვანე ნაწილის გაფართოებას ქალაქის საზღვარზე მდებარე სოფლებისა და დასახლებების – წყნეთის, სოფელ დიღმის და სხვა ტერიტორიების, ასევე ტყის ფონდის შემოერთებით ცდილობს.

თუმცა, ამ მეთოდით, მწვანე საფარის მაჩვენებელი მხოლოდ „ქალაქში“ იზრდება, რეალურად კი ქალაქის ძირითად საცხოვრებელ უბნებში გამწვანების პრობლემა არ გვარდება.

მაგალითად, 2010 წლის ოქტომბერში, სახელმწიფო ტყის ფონდში არსებული თბილისის და მისი შემოგარენის 8600 ჰექტარი ტყე, საკრებულოს გადაწყვეტილებით, მერიის დაქვემდებარებაში გადავიდა და ლანდშაფტურ-რეკრეაციული ზონის სტატუსი მიენიჭა.

„ზოგი ასეთი ადგილი საერთოდ დაუსახლებელია, თბილისის ცენტრში კი მწვანე ნაწილი მაინც მცირეა. გამოდის, რომ მსგავსი ინიციატივები ერთ სულ მოსახლეზე გამწვანების ფართობს ქალაქში რეალურად არ ზრდის“, – ამბობს კახა ბახტაძე, კავკასიის გარემოსდაცვითი ქსელის პროგრამების მენეჯერი.

„დასვენება ჩვენი საქმეა, დასვენება

ჩვენი ყინია. აღმოაჩინე ჩვენი ამაღლებული სამყარო, ცეკვის და მოძრაობის გაკვეთილებიდან დაწყებული აერობიკითა და ფიტნესით დამთავრებული“, – ამ სარეკლამო ბანერით ცდილობს ამერიკაში, სან-ფრანცისკოს ერთ-ერთი მსხვილი რეკრეაციული პარკი დამსვენებლების მიზიდვას. პარკს დასვენების და აქტიურად გართობის მრავალფეროვანი პროგრამა აქვს, მაგრამ ამ ყველაფრისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განთავსება ქალაქის მწვანე საფარზე ადეკვატურ და კომპლექსურ ზრუნვას არ გამოიციხავს.

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ სწორედ ასეთი საფუძვლიანი მიდგომა აკლია მერიის ბოლო პროექტს, რომელიც თბილისის პარკებს გარეგნულად მართალია გააკეთილშობილებს, მაგრამ ქალაქის გამწვანების პრობლემას, სავარაუდოდ, ვერ გადაჭრის. ■



ფოტო: ლეანა ბარბულაძე

დეენილების გასახლება ვარკეთილის 204-ე ბაღიდან, თბილისი, 18 ივლისი 2011

განსახლების მესამე ტალღა

# უაღბლონი აჩივანი

დეენილების გასახლების ერთი წლის თავზე სახელმწიფო მათ ახალს არაფერს სთავაზობს.

ანიტა თვაური



დღის 12 საათზე სამეგრელოში, ზუგდიდის რაიონის სოფელ ფოცხოენერში სრული სიჩუმეა. აქ რომ ადამიანები ცხოვრობენ, ამას მხოლოდ შეღებილი კორპუსებით თუ მიხვდებით.

ერთ-ერთი ასეთი კორპუსის შესასვლელთან მიკრულ ქალაქზე წერია, რომ მეოთხე სართულზე, ბინა №4-ში გახსნილია სილამაზის სალონი „თეკლა“.

საძინებლისგან სქელი ფარდით გამოყოფილი სალონი „თეკლა“ 31 წლის თეას ეკუთვნის. თავის 7 წლის შვილთან და მეუღლესთან ერთად, ფოცხოენერში სექტემბერში ჩავიდა – დევნილთა მასობრივი განსახლების პირველი ტალღის შემდეგ.

„თბილისში ბინას ვეძებოდი, მაგრამ ვერ ვპოვი, თანხა ვეღარ გადავიხადებ და აქეთ წამოვედი, ალბათ იმიტომაც, რომ ჩემი მშობლები და ძმა გალში ცხოვრობენ და შვილს წელიწადში რამდენიმე თვით იქით ვაგზავნი ხოლმე, სკოლაშიც იქ სწავლობს“, – ამბობს თეა და დასძენს, რომ თბილისის ერთ-ერთ სალონში სტილისტად მუშაობის გამოცდილების გამოყენება მას შემდეგ გადანყვიტა, რაც ვერც თვითონ და ვერც მისმა მეუღლემ სამსახური ვერ იშოვეს.

სპეციალურად დევნილთათვის აშენებულ კორპუსში თეას ოჯახს შეღებილი და იატაკდაგებული ბინა კი დახვდა, მაგრამ არ ჰქონდათ ავეჯი და თავიდან იატაკზე უწევდათ ძილი. შემდეგ თეას მეუღლემ ზუგდიდში იპოვა დროებითი სამუშაო, ამ ხელფასითა და დროგამოშვებით მიღებული დახმარებით კი, მცირე ავეჯის შეგროვებაც შეძლეს. თუმცა იქ ცხოვრება არასტაბილური სამუშაოს გამო, მაინც ძალიან უჭირთ. „წითელი ჯვრის“ დახმარებით სალონის გაკეთება თეას ოჯახისთვის ერთადერთი იმედი იყო, მაგრამ დევნილთა სოფელში, სადაც ყველას უჭირს, „თეკლამ“ პირველი კლიენტი გახსნიდან მხოლოდ ერთი კვირის თავზე მიიღო.

სწორედ იმ მიზნით, რომ თითქმის უკაცრიელ ადგილას წამოჭიმულ დასახლებაში დევნილებს თავის რჩენის საშუალება მისცემოდათ, რამდენიმე თვის წინ „წითელი ჯვრის“ პროექტი „მიკრო-ეკონომიკური ინიციატივა“ ამოქმედდა. ამ პროექტის ფარგლებში კი, 2010 წლის აგვისტოდან ფოცხოენერში ჩასახლებულმა 21-მა ოჯახმა ჯერ მცირე ბიზნესის წარმოებაში ტრენინგი გაიარა, შემდეგ კი საკუთარი საქმის დასაწყებად ორგანიზაციისგან 1800-ლარიანი სასტარტო დაფინანსებაც მიიღო.

„ვიცი, რომ იქ ყველა გაჭირვებულია

და ეს თანხა საშუალო დონის შემოსავლის მქონე ბიზნესის წარმოებასაც არ ეყოფა, მაგრამ გვსურდა, ამ ადამიანებს მცირე დახმარება მაინც მიეღოთ ჩვენგან – მინიმალური შემოსავალი რომ ჰქონოდათ“, – ამბობს „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტის ეკონომიკური უსაფრთხოების განყოფილების სავლე ოფიცერი, ჯანელი როგავა.

ის პროექტის პირველ ეტაპს წარმატებულად აფასებს და ამბობს, რომ ჯერ საბოლოო შედეგებზე ლაპარაკი ნაადრევია. თუმცა, თვითონ ფოცხოენერლები საკუთარ ჯიბესა და შემოსავლებს გაუმჯობესებას მაინც ვერ ატყობენ.

სწორედ ამ დახმარებით ხოროშვილების ოჯახმა ერთი თევა, რაც საფუტკრე ააშენა, მაგრამ მცირე ბიზნესმა ჯერ ვერც მათ შემთხვევაში გაამართლა. ვიტალი ხუროშვილის თქმით, წვიმიანი ამინდების სიხშირის გამო, ფუტკრები თავს თვითონ ჭამენ.

ვიტალი და მისი მეუღლე კოდორის ხეობიდან დევნილები არიან. საკუთარ სოფელში, ორდღიან დაბომბვას სარდაფში არიდებდნენ თავს, ვიდრე ადგილობრივმა პოლიციამ ისინი თბილისის ერთ-ერთ თავშესაფარში არ გადაიყვანა, შემდეგ კი – ფოცხოენერში. სახლი მათაც ცარიელი დახვდათ. საკუთარი სახსრებით კი მხოლოდ სანოლის და ორი სკამის შოვნა მოახერხეს, მაგიდა და სავარძელი მეზობლისგან ითხოვეს და შეაკეთეს. მაცივარი ახლაც არ აქვთ, გაფუჭებული ტელევიზორი და დაშლილი ელექტროლუმენი კლიენტებმა აჩუქეს. სინესტე კი მუდმივ პრობლემად დარჩა, განსაკუთრებით – ეპილეფსიით დაავადებული და მეორე ჯგუფის ინვალიდი ვიტალი ხუროშვილისთვის.

წელს, 18 ივლისს დევნილთა განსახლების მესამე ტალღა დაიწყო. ერთ-ერთი დასაცლელი ობიექტი ინფექციური საავადმყოფოს შენობა იყო. 17 წლის ნიკა კორსანტია იქ მშობლებთან ერთად ცხოვრობდა. ნიკას აფხაზეთში თავისი სახლი არ ახსოვს, რადგან ის უკვე თბილისში დაიბადა, მოჭიდავეა და კარგი სპორტული კარიერის გაკეთება უნდა.



ფოტო მარიამ კორიაშვილი

დეწილი ბავშვები ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორიაზე, თბილისი, 18 ივლისი 2011

როცა ინფექციურ საავადმყოფოში შესახლებულ დეწილებს გამოუცხადეს, რომ მათი გასახლების თარიღი უკვე ცნობილი იყო და საჭირო იყო მომზადება, ნიკას რეალობასთან შეგუება ძალიან გაუჭირდა. „რა უნდა გავაკეთო იქ?“ – დაბნეული კითხულობდა ბოლო წუთამდე, ბოლოს კი დარწმუნდა, რომ რეგიონში გადასახლებით დიდ სპორტულ მომავალზე ოცნებას უნდა დამშვიდობებოდა და ამიტომ წასვლაზე უარი განაცხადა. ისევ თბილისში დარჩა და ოჯახთან ერთად ნაქირავებ ბინაში დაინყო ცხოვრება.

მსგავსი არჩევანი გასახლების მესამე ტალღაზე უამრავმა დეწილმა გააკეთა. გამოსახლების დათქმულ დღემდე ცოტა ხნით ადრე, რამდენიმე დეწილი სოფელ ფოცხოენერში ჩავიდა, საკუთარი თვალთ რომ ენახა იქაური პირობები და გადაწყვეტილების მიღება გაიოლებოდა.

„გაუსაძლისი პირობებია იქ და ხალ-

ხი აქეთ გამორბის. ჩვენ რალაზე ნავიდეთ, აქ სამსახური მაინც გვაქვს“, – გვითხრა ერთ-ერთმა მათგანმა 18 ივლისს და ავეჯის გადასაზიდად მოსულ მანქანებში ნივთების ატვირთვის შეუდგა.

ამავე შენობიდან გამოსახლებული 16 ოჯახიდან ყველამ უარი თქვა სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ საცხოვრებლებზე. ნაწილმა ბინა თბილისში იქირავა, ნაწილმა კი დროებით ნათესავებს შეაფარა თავი.

სამოქმედო სტრატეგიის მიხედვით, დეწილების განსახლება იმ ტერიტორიაზე უნდა მოხდეს, სადაც მათ ბოლო 18 წლის განმავლობაში მოახერხეს ინტეგრირება. მიუხედავად იმისა, რომ ნიკაც და მისი თაობის დეწილი ბევრი ახალგაზრდაც, დაბადებიდან თბილისში ცხოვრობს, ამ პუნქტის შესრულების იმედი თითქმის არ ჰქონდათ. მათ ეჭვს წარსულის გამოცდილება ამყარებდა – 2010 წლის იანვრის გასახლების დროს

ხომ სამინისტრომ ასეთი ოჯახები ფოცხოენერში გადაიყვანა.

ეს სამოქმედო სტრატეგიით გათვალისწინებული პუნქტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარღვევა იყო, რაც განსახლების მესამე ტალღაზეც უცვლელად განმეორდა. თუმცა, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებში აცხადებენ, 18 ივლისის გასახლების დროს სამინისტროს ბევრი, წინა ჯერზე დაშვებული შეცდომა აღარ გაუმეორებია.

მაგალითად, თუ განსახლების პირველ და მეორე ტალღაზე, დეწილებმა ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ წინა დღით გაიგეს, რომ გადასახლება უწევდათ, ხოლო სად უნდა დაეწყოთ ახალი ცხოვრება – მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე უთხრეს, ახლა ეს შეცდომა თითქმის აღარ დაუშვიათ.

დასაცლელ ობიექტებში ჩასახლებულ დეწილებს დათქმულ დღემდე ათი დღით ადრე შეატყობინეს, რომ



ფოტო: მარიამ შიშინაძე

**ინფექციური საავადმყოფოს შენობიდან გამოსახლებული 16 ოჯახიდან ყველამ უარი თქვა სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ საცხოვრებლებზე. ნაწილმა ბინა თბილისში იქირავა, ნაწილმა კი დროებით ნათესავებს შეაფარა თავი.**

ბინები უნდა დაეცალათ. მათი კორპუსების გარე ფასადზე კი გამოაკრეს იმ სახლების შავ-თეთრი ფოტოები, სადაც გადასვლას სთავაზობდნენ.

18 ივლისი წინა ორ გამოსახლების პროცესს არაფრით ჰგავდა არც მომსახურებისა და ტრანსპორტირების მხრივ. თუკი 2010 წლის ზაფხულშიც და წელს, იანვარშიც, დევნილები ავეჯის გადასაზიდად განკუთვნილი სატირთო მანქანებით ჩაიყვანეს ახალ სახლებში, ახლა ყველა ობიექტზე მობილიზებული იყო ყვითელი ავტობუსები და დევნილებს საკუთარ ბარგთან ერთად აღარ უწყდათ მგზავრობა.

2010 წლის აგვისტოში საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოს ხელისუფლება შემდეგი პუნქტების მიხედვით გააკრიტიკეს:

1. გამოსახლების პროცესი იყო დაჩქარებული და გაუმჭვირვალე, ამიტომ დევნილთა უმრავლესობა არაინფორმირებული დარჩა;
2. პირობები ახლად აშენებულ კოლექტიურ ცენტრებში არ შეესაბამება სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ სავალდებულო სტანდარტებს;
3. მხოლოდ საცხოვრებელი ფართის გამოყოფა არ არის საკმარისი დევნილთა გრძელვადიანი დაბინავებისთვის –

მათ ასევე ესაჭიროებათ დასაქმების პერსპექტივა.

ამ მწვავე კრიტიკის შემდეგ სამინისტრომ დევნილთა განსახლების პროცესზე მორატორიუმი გამოაცხადა იმ დრომდე, ვიდრე ამ პროცესის დახვეწისთვის საჭირო სპეციალურ სქემას არ შექმნიდა. 2010 წლის სექტემბერში კი უკვე გამოქვეყნდა დოკუმენტი „იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით გამოსახლების სტანდარტული ოპერაციული პროცედურები“.

წესით, სწორედ ამ პროცედურების



ფოტო მარიამ კორიაშვილი

აფხაზეთიდან დევნილი თეა, საკუთარ სახლში მონყოილ სალონში. ფოცხოენერი, 19 ივლისი, 2011

■ ნოემბერ-იანვარში 534 ოჯახი გამოასახლეს, მათგან 131 დევნილი ოჯახი დაუბრუნდა კოლექტიურ ცენტრებს, ხოლო 193-მა ოჯახმა უარი განაცხადა რეგიონებში წასვლაზე და თბილისში, კერძო სექტორში გადავიდა საცხოვრებლად. ჩამოთვლილი 534 ოჯახიდან მხოლოდ 21 ოჯახი დათანხმდა განსახლების შეთავაზებულ ადგილს.

მიხედვით უნდა წარმართულიყო განსახლების პროცესი 2011 წლის იანვარში. თუმცა, დარღვევები მაშინაც ხშირ შემთხვევაში ისეთივე მწვავე იყო, როგორც – მორატორიუმის გამოცხადებამდე.

ახლა კი გაეროს იძულებით გადაადგილებულ პირთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენელს, სიმონე უოკენს გამოასახლების პროცესის ერთ-ერთ მთავარ პოზიტიურ ცვლილებად სამინისტროს „კოოპერატიული, ინფორმატიული და გამჭვირვალე“ ქმედებები ესახება.

თუმცა, დევნილთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების შეფასებით,

განსახლების უმთავრესი პრობლემა მესამე ტალღაზეც უცვლელი რჩება. ესენია არაადეკვატური საცხოვრებელი პირობები და დასაქმების პერსპექტივა.

„იმისათვის, რომ მიიღწეს იძულებით გადაადგილებული პირებისათვის პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტა და ისინი აღარ საჭიროებდნენ სახელმწიფოს მხრიდან სპეციფიკურ დახმარებებს, აუცილებელია განსახლების ადგილებზე უახლოეს მომავალში განხორციელდეს სხვადასხვა ტიპის დასაქმების პროგრამა, დევნილ ოჯახებს გადაეცეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და საწყის ეტა-

პზე ხელი შეეწყოს მის დამუშავებაში, რათა მათ შეძლონ მინიმალური საჭიროებების საკუთარი შემოსავლით დაკმაყოფილება“, – წერია სახალხო დამცველის 2010 წლის ყოველწლიურ მოხსენებაში.

ამ რეკომენდაციას ზურგს კონკრეტული სტატისტიკაც უმაგრებს: ნოემბერ-იანვარში სულ 534 ოჯახი გამოასახლეს, მათგან 68 ოჯახმა მიიღო კოტეჯის სანაცვლო კომპენსაცია, 131 დევნილი ოჯახი დაუბრუნდა კოლექტიურ ცენტრებს, სადაც ოფიციალურად იყვნენ მინერლი, ხოლო 193-მა ოჯახმა უარი განაცხადა რეგიონებში წასვლაზე და



ფოტო: მარიამ კორიანი

თბილისში, კერძო სექტორში გადავიდა საცხოვრებლად. ჩამოთვლილი 534 ოჯახიდან მხოლოდ 21 ოჯახი დათანხმდა განსახლების პირობებს და სამინისტროს მიერ შეთავაზებულ რაიონში წავიდა საცხოვრებლად.

განსახლების მესამე ტალღაზეც, სწორედ უმუშევრობისა და უპერსპექტივობის მოტივით, დევნილების დიდი ნაწილი სპეციალურად მათთვის აშენებულ კორპუსებში არ გადავიდა და, თბილისში დარჩენისა და დიდი ქალაქისთვის დამახასიათებელი პერსპექტივის ფასად, გაურკვეველ და დაუცველ მომავალს დათანხმდა.

ზუგდიდიდან 18 კილომეტრში, სოფელი წარაზენია. აქ ჩასახლებულმა დევნილებმა წინა კვირას ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ ბინა, რომელიც ახალ მეზობელს თვითონ გაუსუფთავეს და დაულაგეს, ისევ ცარიელი დარჩება. ოჯახმა, რომელიც ამ სახლში უნდა გამოსულიყო, რეგიონში წასვლაზე კატე-

გორიული უარი განაცხადა და თბილისში დარჩა.

18 ივლისს ასეთივე გადანყვეტილება მიიღო 204-ე ბაღიდან გამოსახლებულმა თვრამეტივე ოჯახმა. გამოსახლების დილას, მათ სამართალდამცველებს შენობაზე გამოფენილი ტრანსპარანტები დაახვედრეს, წარწერებით “ნუ გაგყვით”, „ნუ დატოვებთ ბავშვებს ქუჩაში“ და ბალის კარიც აჭედეს. სამართალდამცვეებმა ორ საათში შენობაში შესვლა სცადეს. კართან მისულ პოლიციას დევნილებმა ბენზინი შეასხეს და კარს ცეცხლი წაუკიდეს. ხანძარი რამდენიმე წუთში ჩააქრეს. პროტესტის უშუდევრობამ დევნილები აიძულა ნივთები საბარგო მანქანებზე აეტივითათ და ნათესავებთან თუ საწყობებში გადაეტანათ.

მალაზონიების ოჯახის ავეჯი ახლაც ერთ-ერთი ძველი ქარხნის შენობაში უწყვიათ. ბინის იაფად ქირობისა და სამინისტროსგან დახმარების მიღების მო-

ლოდინში, ღამეებს ჯერ ნათესავებთან ათევენ. „მამაჩემი ტაქსისტობით მაინც არჩენს ოჯახს, რეგიონში რომ წავიდე, არც ხალხია და არც ფული აქვთ, რომ იქაც ასე იმუშაონ“, – ამბობს გიორგი მალაზონია.

იურისტების განმარტებით, ქირით გასული და ნათესავებთან თავშეფარებული დევნილების დასახლება ისევ სამინისტროს პასუხისმგებლობაში რჩება. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამინისტროს დღემდე არ გამოუწვრივია განსახლების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხარვეზი – დევნილი სტუდენტებისთვის, დევნილი ახალგაზრდებისთვის, ანდა დევნილი პროფესიონალებისთვის არ შეუქმნია კონკრეტული პროგრამები, რაც მათ განათლების მიღებაში, დასაქმებაში თუ სოციალურ ინტეგრაციაში დაეხმარებოდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პასუხისმგებლობის შესრულება ახლაც მხოლოდ ფიქტიური პროცესი იქნება. **□**

# ჰასუხი ნიხა ხუხუნას: ხატომ ენდა ვისნავდომთ ხუსჯი ენა



მთავარი ფსიქოლოგიური ტრავმა, რომელიც იმპერიულმა აზროვნებამ მოგვიტანა, ეს არის – ენინალმდეგებოდ რაღაცას არა რაციონალური არგუმენტებით, არამედ შიშებისა და კომპლექსების მოხმობით. მინისტრი ამ ტრავმის მსხვერპლია.

გიორგი ცხადაია

„საქართველოში არ არის არავითარი საჭიროება იმისა, რომ ახსოვდეთ და ისწავლონ რუსული ენა“, – განაცხადა საქართველოს კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამ „ეხო მასკვისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. რუსული ენა მინისტრისთვის საბჭოთა წარსულთან და რუსეთის იმპერიულ პოლიტიკასთან ასოცირდება. ის თვლის, რომ „ეს ენა იყო რუსიფიკაციის იარაღი. როცა ეს საუკუნეების განმავლობაში გრძელდება, ენა ფსიქოლოგიურ ეფექტს იძენს.“

ამ ლოგიკას თუ გავყვებით, რუსულ ენას ყველაზე დიდი ფსიქოლოგიური ეფექტი სწორედ ამ სიტყვების ავტორზე მოუხდენია. ენინალმდეგებოდ რაღაცას არა რაციონალური არგუმენტებით, არამედ შიშებისა და კომპლექსების მოხმობით – ის მთავარი ფსიქოლოგიური ტრავმაა, რომელიც იმპერიულმა აზროვნებამ მოგვიტანა.

ასეთი ტრავმის მქონე ადამიანი გაურბის საკუთარ წარსულს და კულტურულ მემკვიდრეებს და ცდილობს, თავი ახალ ფორმებს შეაფაროს. ამის მცდელობის მიუხედავად, სამწუხაროდ, შინაგანად ის მაინც ძველი აზროვნების კატეგორიების გამზიარებლად რჩება. დღევანდელი საქართველოს მოდერნიზაციის პროექტის მთელი ნაკლოვანება სწორედ ამ ზედაპირულ მცდელობებში ჩანს: არქიტექტურიდან დაწყებული სახელმწიფოს სტრუქტურებით დამთავრებული, იცვლება გარეგანი ფასადები, მაგრამ შინაარსი უცვლელი რჩება. რუსული ენის სწავლების აკრძალვაც ამ კატეგორიის კოსმეტიკურ ცვლილებებს მიეკუთვნება, რადგან პარალელურად, ხელისუფლება ქმნის ისეთ პროდუქტებს, როგორცაა

პოლიციის ჰიმნი, სიმღერა „მიმა მაგარია“, პროპაგანდისტული ტელევიზიები, პრეზიდენტის მიღების თეატრალიზებული ცერემონიები და ა.შ.

დამოუკიდებლად და რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი ყველა პრობლემას ცივი გონებით უნდა აანალიზებდეს და მხოლოდ ასე უნდა გადაწყვიტოს, თუ რა იქნება მისთვის სასარგებლო. ზოგჯერ, საგნები, რომლებიც ფსიქოლოგიურ დისკომფორტს გვანიჭებს, ყველაზე მეტად გვხმარება.

იმაზე, რომ ინგლისური ენა ყველა მოსწავლისთვის სავალდებულო უნდა იყოს, თითქმის არაფერს ვამბობ. ყველას გააზრებული აქვს, რომ 21-ე საუკუნეში ამ ერთი, ყველაზე გავრცელებული საერთაშორისო ენის გარეშე ორიენტაცია შეუძლებელია. მეორე სავალდებულო უცხო ენის არჩევაზე როდესაც მიდგება საქმე, ყველაზე მეტი არგუმენტი რუსულის სასარგებლოდ გროვდება.

პირველ რიგში, რუსული ის ენაა, რომელიც ჩვენს – პოსტსაბჭოთა ქვეყნების რეგიონში ყველაზე მეტად არის გავრცელებული. რუსული ოფიციალური ენაა რუსეთში, ბელარუსში, ყაზახეთში, უზბეკეთსა და ყირგიზეთში. ასევე, ეს ენა ფართოდ არის გავრცელებული უკრაინაში, მოლდოვაში და ცენტრალური აზიის ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში. რუსული გაეროს ექვსი ოფიციალური ენიდან (არაბული, მანდარინი (ჩინური), ინგლისური, ფრანგული, ესპანური და რუსული) ერთ-ერთია.

2004-2008 წლის მონაცემებით, ინგლისურენოვანი ქვეყნების შემდეგ, უცხოური ინვესტიციების შემოტანის მაჩვენებლით, მეორე ადგილზე რუსუ-

ლენოვანი ქვეყნებია (ძირითადად, ყაზახეთი, რუსეთი, უკრაინა). მომავალში, ამ ქვეყნებიდან ინვესტიციების მოზიდვის მეტი შესაძლებლობა გვექნება. აღნიშნულ ქვეყნებს თუ აზერბაიჯანსაც მიათვლით (რომელსაც რუსულენოვანი ბიზნეს და პროფესიული ელიტა ჰყავს), მაშინ ამ ენის მნიშვნელობა უფრო მეტად გაიზრდება.

რუსულ ენას ჩვენთვის პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა აქვს. იგი დაგვხმარება, დავამყაროთ კავშირები რუს, უკრაინულ და ბელარუს მეზობლებთან. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობა, როგორც ჩანს, მსჯელობის დროს, ერთმანეთისგან არ აცალკევებს ამ სახელმწიფოებს მათი მცხოვრები ადამიანებისგან. იქიდან გამომდინარე, რომ ამ სამი სახელმწიფოდან ერთი დიქტატორულია (ბელარუსი), მეორე მკვეთრად ავტორიტარული (რუსეთი) და მესამე ნახევრად ავტორიტარული (უკრაინა), ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა შევიქმნათ, რომ ამ ქვეყნების ყველა მოქალაქე ავტორიტარულად აზროვნებს. სამივე ქვეყანაში არსებობს დისიდენტების და თავისუფლად მოაზროვნეების ჯგუფები, რომელთან ურთიერთობების დამყარება და იდეების გაცვლა-გამოცვლა რეგიონში ცვლილებების მოხდენის კატალიზატორი იქნება.

ჩვენთვის რუსული ენის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ეს ენა ჩრდილო კავკასიის და ქართული სეპარატისტული რეგიონების ერთგვარი „ლინგვა ფრანკაა“. ჩვენს უშუალო მეზობლებთან და სეპარატისტულ რეგიონებთან ურთიერთობა კი დღესაც და სამომავლო პერსპექტივაშიც, ძალიან

მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება კულტურულ კავშირებს, აქ უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი კულტურის სიახლოვე, განსაკუთრებით, რუსულ კულტურასთან. მე არ ვგულისხმობ საბჭოთა დროს ჩამოყალიბებულ, ძირითადად, დაბალი ხარისხის პროპაგანდისტული და ნაციონალისტური კულტურული პროდუქტების (მაგალითად, ესტრადის) მსგავსებას, არამედ უმთავრესად, საზს ვუსვამ ალტერნატიული ხელოვნებისა და დისიდენტური ლიტერატურის მნიშვნელობას.

ქართული კულტურული სივრცე ყველაზე ახლოს რუსულ და თურქულ კულტურულ სივრცეებთან დგას. საქართველო, ისევე, როგორც თურქეთი და რუსეთი, ევრაზიული ქვეყანაა და მასში კარგად ჩანს ორივე რეგიონის კულტურული ნიშნები.

თურქეთმა თავისი იდენტობა და კულტურა თითქმის ერთი საუკუნის წინ ევროპას დაუკავშირა და საკუთარი თავის რადიკალურად გარდაქმნა დაიწყო. ეს პროცესი რუსეთში პეტრე პირველის დროიდან იწყება. მოდერნიზაცია ორივე ქვეყანაში უმთავრესად ევროპეიზაციასთან არის გაიგივებული. საქართველოშიც, როდესაც მოდერნიზაციაზე საუბრობენ, ძირითადად, გულისხმობენ „ევროპულ ცივილიზაციას“ და „ევროპულ ღირებულებებს“.

თუ მოდერნიზაცია წარმატებით დასრულდება, თურქეთის, რუსეთისა და საქართველოს საბოლოო მიზანი ევროკავშირში გაწევრიანებაა. ჯერჯერობით, სამივე ქვეყანაში თავს იჩენს ადგილობრივი რეაქცია მოდერნიზაციაზე და კონსერვატორული „ამბოხებები“. თურქეთში ამ პროცესმა სათავეში კონსერვატორული მთავრობა მოიყვანა, თუმცა ამავე დროს, თურქეთმა მოახერხა ერთმანეთისთვის, ნაწილობრივ მაინც, წარმატებით შეეხამებინა დემოკრატიის ევროპული იდეალები და კონსერვატორული ავტორიტარიზმის

ადგილობრივი ტრადიციები. რუსეთსა და საქართველოს (ისევე როგორც უკრაინასა და ბელარუსს), საუკეთესო შემთხვევაში, ამ გზის გამეორება მოუწევთ. ამიტომ, მათ ერთმანეთისგან ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ.

სახელმწიფოს მიერ ენის სწავლების მხარდაჭერისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ საქართველოში რუსული ენის სწავლების ხანგრძლივი ტრადიციები არსებობს. ყოველ შემთხვევაში, რუსულის მაღალ დონეზე სასწავლებლად მასწავლებლების ხელახლა მომზადება არ დაგეგმრდება. რუსული ტელეარხები საკაბელო ტელევიზიებში დღესაც პოპულარულია.



**რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი პრობლემას ცივი გონებით უნდა აანალიზებდეს და მხოლოდ ასე უნდა გადაწყვიტოს,** თუ რა იქნება მისთვის სასარგებლო. ზოგჯერ, საგნები, რომლებიც ფსიქოლოგიურ დისკომფორტს გვანიჭებს, ყველაზე მეტად გვეხმარება.

ერთი სიტყვით, უფროს თაობაში ამ ენის ტრადიციის არსებობა იმის საფუძველს გვაძლევს, რომ მომავალში მისი სწავლება სათანადო დონეზე უზრუნველყოთ.

ხელისუფლების პოზიციაში, რა თქმა უნდა, გარკვეული სიმართლის მარცვალიც არის და რურუას კრიტიკა შესაძლოა ეხებოდეს იმ ადამიანებს, რომლებიც რუსულის სწავლებას მხოლოდ იმ მიზეზით უჭერენ მხარს, რომ ისინი რუსულ იმპერიულ კულტურულ სივრცეზე არიან მიბმული. ასეთი ადამიანები ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ საქართველოს რუსული პოლიტიკური და კულტურული სივრცისგან მოწყვეტა დამღეპველი იქნება. იმის გამო, რომ ისინი „ბატონისა და მონის“ აზროვნებისგან ვერ თავისუფლდებიან, ხელისუფლებამაც მათ არ უნდა მიბაძოს.

ჯერჯერობით, ხელისუფლება და მასთან დაპირისპირებული „ტრადიციონალისტები“ „ან-ან“ დიალექტიკურ ბრძოლაში არიან ჩაბმულნი. პირველის პოზიცია მეორის პოზიციის ანტითეზაა. ორივე შემთხვევაში, კომპლექსები მესამე, დამოუკიდებელი პოზიციის გასაგებად გვიშლის ხელს.

რუსული ენის სწავლებაზე მინისტრის ზედაპირული და ნაჩქარევი კომენტარები 21 ივლისს თავად პრეზიდენტმა სააკაშვილმა დააგვირგინა. „ცხელ შოკოლადში“ არქიტექტორი თამარ ამაშუკელი წერდა: „კიჩია ის მიდგომა, რომლითაც ჩვენ აღმაშენებლის გამზირის – პარიზად, ან მესტიის – შვეიცარიად ქვევად ვაპირებთ“. პრეზიდენტმა ამ კრიტიკას შემდეგნაირად უპასუხა: „არაფერს ვამბობ ამის დამწერის გონებრივ შესაძლებლობებზე – ნამდვილად არ მინდა, ვინმე გავაკრიტიკო, მაგრამ მას ხომ ჰგონია საკუთარი თავი ძალიან განათლებული, ის არის კლასიკური არქიტექტივი რუსეთის მიერ ჩამოყალიბებული მონისა საქართველოში.“

# საბანკო-ბიზნესური მალაქი ბიზნესური მალაქი



თუ გვსურს, რომ ჩვენმა განათლების სისტემამ „იფრინოს“, მისმა მგზავრებმა კი მივიღოთ მალაქი ხარისხის მომსახურება, მნიშვნელოვანია, მთელ სისტემაში პასუხისმგებლობები მაქსიმალურად ჰორიზონტალურად დელეგირდეს.

სიმონ ჯანაშია


წარმოვიდგინოთ, რომ არსებობს ერთი უცნაური თვითმფრინავი, რომლითაც მგზავრობა შეგეძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აუცილებლად დააკმაყოფილებს ასევე უცნაურ წინაპირობას: წინა ჯერზე უკვე უნდა იყოთ ნაფრენი იმ ავიაკომპანიით, რომელსაც ეს თვითმფრინავი ეკუთვნის. ავიაკომპანიის შეცვლა წელიწადში მხოლოდ ორჯერაა შესაძლებელი. თუ სხვა დროს გადაწყვიტეთ ავიაკომპანიის შეცვლა, მაშინ სპეციალურ სახელმწიფო უწყებას უნდა დაუკავშირდეთ ნებართვისთვის.

თვითმფრინავს მართავს კაპიტანი, რომელიც თავის ყველა ნაბიჯს უთანხმებს ავიაკომპანიის დირექტორს. მაგალითად, თუ მის რეისზე მგზავრი დათვრა და ყვირის, თვითმფრინავს თან ახლავს ავიაკომპანიის წარმომადგენელი, რომელიც კაპიტანს უნერს წერილობით ოქმს, რომლის გათვალისწინებითაც კაპიტანმა უნდა დააკოს ამრევი.

თუ ფრენის კურსზე ცუდი ამინდია გამოცხადებული, კაპიტანი ისევ ავიაკომპანიას უთანხმებს სამოქმედო გეგმას. ავიაკომპანიისგან ელოდება მითითებას იმის შესახებაც, თუ როდის დაუკავშირდეს იმ აეროპორტის პერსონალს, სადაც თვითმფრინავი უნდა დასვას.

ავიაკომპანიის დირექცია განსაზღვრავს იმას, თუ როგორ უბის ნიგნაკში იწერს პერსონალის თითოეული წევრი შენიშვნებს თუ საკუთარ გეგმებს. ავიაკომპანია განსაზღვრავს ასევე იმას, თუ რომელი გაზეთი უნდა წაიკითხოს პერსონალმა.

მგზავრებსა და მომსახურე პერსონალს ეკრძალებათ ავიაკომპანიის ნებართვის გარეშე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მკვლევრებთან და ჟურნალისტებთან ურთიერთობა.



ბთან ურთიერთობა. თუ თქვენ გაინტერესებთ, როგორ მოემსახურა პერსონალი მგზავრებს წინა წლის განმავლობაში, ან რამდენი მგზავრი გადაიყვანეს წინა რეისზე, ნებართვა ავიაკომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტისგან უნდა აიღოთ.

როგორ ფიქრობთ, რამდენად შეძლებს ამ თვითმფრინავის პერსონალი და ავიაკომპანია ეფექტურად მუშაობას? რამდენად იქნება შესაძლებლობა, რომ მგზავრებმა საუკეთესო ხარისხის სერვისი მიიღონ? რამდენად სწრაფად გადაიჭრება ფრენისას წარმოშობილი პრობლემები? მგონია, ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე დადებითი პასუხის პოვნა ჩვენი მკითხველის დიდ ნაწილს გაუჭირდება. ესეც რომ არა, ასეთი თვითმფრინავით ფრენა მთლად უსაფრთხოც არ უნდა იყოს.

უცნაურია, მაგრამ საქართველოში

დღეს ვხდებით იმის მონმე, თუ როგორ ეტაპობრივად ემსგავსება ამ წარმოსახულ ავიაკომპანიას განათლების სისტემა. იმ პრობლემებიდან, რაც ამ სისტემაში ბოლო პერიოდში დაგროვდა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საკვანძო სწორედ მზარდი ბიუროკრატიული შეზღუდვებია. ხელოვნურად დაწესებული ბიუროკრატია კი აფერხებს სკოლის განვითარებას, მის ეფექტურად მუშაობას, ხარისხიანი სერვისის მიწოდებას და საზოგადოების საჭიროებებსა და ინტერესებზე სწრაფად რეაგირებას. იმის ნაცვლად, რომ სკოლა პირდაპირ საზოგადოების წინაშე იყოს სულ უფრო მეტად ანგარიშვალდებული, მისი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე იზრდება.

საჯარო სკოლის მასწავლებელს განუსაზღვრავენ არა მხოლოდ იმას, გლაკტიონის რომელი კონკრეტული ლექ-

სი უნდა ასწავლოს მოსწავლეებს, არამედ იმასაც, თუ რომელი სახელმძღვანელოდან უნდა ასწავლოს ეს ლექსი. განსაზღვრულია ისიც, თუ რომელი გამოცემის ყურნაში უნდა ჩანეროს მოსწავლეებელმა, რომელ გაკვეთილზე ასწავლა ეს ლექსი, რამდენი მოსწავლე ესწრებოდა გაკვეთილს და რა ნიშნები მიიღო.

ბიუროკრატის სხვა უამრავი მაგალითიც არსებობს, რაც მრავალჯერ გამხდარა განათლების სამინისტროს კრიტიკის მიზეზი:

უკვე ორი წელია, ასეა – თუ ყურნა-ლისტს, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს ან მკვლევარს აინტერესებს, რა ხდება კონკრეტულ საჯარო სკოლაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან უნდა აიღოს ნებართვა.

ნახევარი წელია, რაც შემოვიდა წესი იმის შესახებ, თუ როდის უნდა გააკეთოს

განათლების სისტემის ბიუროკრატია-ზაციის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მაგალითები უკავშირდება შესყიდვებს, პერსონალის დაქირავებასა და სოციალურად დაუცველების დახმარებასაც. თითოეულ ამ რეგულაციას სხვადასხვა საფუძველი აქვს. ზოგი გამომდინარეობს რწმენიდან, რომ ყველა ადამიანი ერთნაირად სწავლობს. ზოგი შექმნილია იმისთვის, რომ გააადვილოს პირველკლასელებისთვის კომპიუტერების შესყიდვის დაგეგმვა. ზოგი იმიტომ, რომ შეუძლებელი გახადოს სკოლებთან ურთიერთობა იმ პირებისთვის, ვინც, სახელმწიფოს წარმომადგენლების წარმოდგენით, არასასურველია. ზოგი კი იმიტომ, რომ ფინანსური დაგეგმვა უფრო მარტივი იყოს. ყველა გადაწყვეტილებას კი ერთი საერთო აქვს – ილუზია, რომ სახელმწიფოს მხრიდან მზრუნველობის ამგვარი ფორმა

შესწავლას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას;

გ) გაზარდოს თავისი შტატი იმისთვის, რომ მასალის დამუშავება უფრო სწრაფად შეძლოს;

დ) საერთოდ გააუქმოს ახლად შემოღებული რეგულაცია.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს მხოლოდ ერთი რეგულაციაა, რაც სამინისტრომ თავად შექმნა, და თუ ასევე გავიხსენებთ იმასაც, რომ კანონების არცოდნა, მოსახლეობის 1 პროცენტზე გაცილებით მეტს ახასიათებს, შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, თუ როგორ გამძაფრდება ეს პრობლემა. ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი არჩევანი კი თავისთავად არასათანადო შედეგის მომტანი გახდება.

ამგვარი მიდგომა და, საერთოდ, მსგავსი რეგულაციები, საბოლოო ჯამში, იწვევს იმას, რომ სკოლას სულ უფრო უჭირს მისი უშუალო მოვალეობის შესრულება: ანგარიშგაღებული იყოს საზოგადოების წინაშე. სამაგიეროდ, იზრდება ბიუროკრატების ფუნქციები, პასუხისმგებლობა და ძალაუფლება.

თუ გვსურს, რომ ჩვენმა განათლების სისტემამ იფრინოს და თან მისმა მგზავრებმა მივიღოთ მაღალი ხარისხის მომსახურება, მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილებების მიმღებებმა იზრუნონ პასუხისმგებლობების მაქსიმალურად ჰორიზონტალურად დელეგირებაზე. სხვაგვარად ვერ ავცდებით ვითარებას, როცა მარტივი ოპერაციის შესასრულებლად ნორმატიული დოკუმენტების გამოცემა, სახელმწიფო მოხელეების კეთილგანწყობა, დაწესებულებებს შორის სირბილი და განცხადებების წერა იქნება საჭირო. ასე ხანგრძლივ რეისზე მგზავრობა კი არა, სკოლიდან სკოლაში გადასვლაც კი პრობლემური გახდება.

უფრო მეტიც, ასეთი „ავიაკომპანია“ ვერანაირად ვერ გაუწევს კონკურენციას თავის უცხოელ კოლეგებს. სწორედ ამიტომაც, მათთან შედარებით ქართველები ვიფრენთ არაკომფორტულად, ძვირად, უხალისოდ და ნელა... მაშინ, როდესაც ჩვენი შვილების უცხოელი თანატოლები უკვე შორს და უფრო ბედნიერები იქნებიან. **■**

**■ ასეთი „ავიაკომპანია“ ვერანაირად ვერ გაუწევს კონკურენციას თავის უცხოელ კოლეგებს. ამიტომაც, მათთან შედარებით ქართველები ვიფრენთ არაკომფორტულად, ძვირად, უხალისოდ და ნელა... მაშინ, როდესაც ჩვენი შვილების უცხოელი თანატოლები უკვე შორს და უფრო ბედნიერები იქნებიან.**

განაცხადი მშობელმა შვილის კონკრეტული სკოლის პირველ კლასში მისაყვანად. სხვადასხვა თარიღებია დაწესებული იმ მშობლებისთვის, ვისი სხვა შვილიც უკვე სწავლობს ამ სკოლაში და იმ მშობლებისთვის – ვისიც ჯერ არა. თუ მშობელს დაავგვიანდა დარეგისტრირება, მაშინ მისი საკითხიც სამინისტროსთან შეთანხმებით უნდა გადაწყდეს.

რამდენიმე კვირაა, რაც სახელმწიფომ ახალი წესი შემოიღო მოსწავლეების სკოლიდან სკოლაში გადაყვანასთან დაკავშირებით. ეს ახლა მხოლოდ არდადეგებზეა შესაძლებელი. წლის განმავლობაში კი მობილობა მხოლოდ სამინისტროს სპეციალური ნებართვითაა შესაძლებელი. ანუ, საცხოვრებელი ადგილის შეცვლას თუ გეგმავთ და შვილებისთვისაც სკოლას ეძებთ, ეს სასკოლო არდადეგებს უნდა დაამთხვიოთ.

შეიძლება, ეფექტური იყოს.

მაგალითისთვის განვიხილოთ მოსწავლეების სკოლებს შორის მობილობის საკითხი. 2005-06 სასწავლო წელს საქართველოში 25 000-მდე მოსწავლე გადავიდა ერთი საჯარო სკოლიდან მეორეში. დაეუშვათ, ამ მოსწავლეების მშობლების მხოლოდ 1 პროცენტი აღმოჩნდა ისეთი, რომელმაც შუა წელიწადში გადაწყვიტა შვილის გადაყვანა სხვა სკოლაში. ამით უკვე მივიღებთ 250 მოსწავლეს, რომლის მშობელიც სავარაუდოდ, გამონაკლისის დაშვებას სამინისტროს წერილობით თხოვს. შედეგად, ეს უწყება დადგება რამდენიმე არჩევანის წინაშე:

- ა) სწრაფად მაგრამ ზედაპირულად განიხილოს თითოეული მოსწავლის საკითხი და სამუშაოს მოცულობის პრობლემის არსებობაზე თვალი დახუჭოს;
- ბ) დიდი დრო მონადლომოს საკითხის

# პედაგოგის ბაზოვიჩის მუხაბე



თამარ ამაშუკელი



ფოტო: ირაკლი ძინელი

პიკა, ბათუმი

არ მიფიქრია, ჩემი სტატია ასეთი რეზონანსული თუ იქნებოდა.

არც ის მიფიქრია, რომ პრეზიდენტის მძვინვარებას დავიმსახურებდი, მაგრამ ასე გამოვიდა.

ცოცხალი, პასუხი გასცე ადამიანს, რომელსაც საერთოდ არ აინტერესებს, რა წერია მის მიერ ათვალწუნებულ ტექსტში, თუმცა თავს უფლებას კი აძლევს, სტატიის ავტორი უშვერი სიტყვებით „აკრიტიკოს“.

ძნელია, უპასუხო ადამიანს, რომელსაც პიროვნების გალანძღვა მხოლოდ იმის გამო შეუძლია, რომ საკუთარ გამოსვლას ექსპრესიულობა შემატოს, ადამიანს, რომელსაც განსხვავებული აზრი არათუ არ აინტერესებს, არამედ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს მას.

კიჩი სულაც არაა „სისულელე“ და ის შესაძლებელია დიდ პრობლემად იქცეს – როგორც ადამიანისთვის, ასევე მთლიანად სახელმწიფოსთვის. კიჩი (და ალბათ უფრო მეტიც) იყო ის სცენა, ჩვენი პირველი პირი რომ „ერთ-ერთ დაბალტირაციან ჟურნალში“ ოთხი თვის წინ გამოქვეყნებულ სტატიას აფრიალებდა და თან უშვერი სიტყვებითაც ილანძღებოდა.

ილანძღებოდა იმიტომ, რომ მისი მოწონებული და შექმნილი ვილაცამ დაინუნა, გააკრიტიკა. აღმოჩნდა, რომ ვილაც სხვანაირად ხედავს საქართველოს ქალაქების ურბანული ნაწილის განვითარებას, არ მოსწონს ბლოკით ნაშენი ძველი თბილისი და დეკორაციად ქცეული სიღნაღი, არ მოსწონს ის, რაც მოსწონს პრეზიდენტს.

ჩემი სტატიის მთავარი სათქმელი ის არის, რომ მავანნი ვერ აფასებენ ჩვენი ქვეყნის პოტენციალს და ღირებულებას, მათ არ აკმაყოფილებთ ის, რაც აქამდე იყო და ცდილობენ, ყველაფერი

ისე შეცვალონ, როგორც პირადად მათ მოსწონთ.

ნებისმიერ ინდივიდს, მოაზროვნეს აქვს უფლება, რაღაც მოსწონდეს და რაღაც – არა. მას აქვს უფლება, გამოხატოს აზრი, თუნდაც, სხვისთვის მიუღებელი. ჩემი სტატიის შინაარსიც, ალბათ, ზოგისთვის მიუღებელია და ეს სრულიად ნორმალურია. თუმცა, კონტექსტიდან აზრის ამოგლეჯა და შემდეგ მისი ინტერპრეტაცია არასწორია. ეს საკმაოდ იაფასიანი ფანდი და მგონი, პრეზიდენტისთვის სრულიად შეუფერებელი საქციელია.

მე სახლში არავის ვუვარდები და არ ვუნუნებ მის ოთახში გაკეთებულ რემონტს, ან სამოსს, რომელსაც ის ატარებს, ან თმის ვარცხნილობას. აქ საუბარი ჩემი ქვეყნის, ჩემი ქალაქის განვითარებაზე და რადგან არც ეს ქალაქი და არც ქვეყანა არ არის ერთი კონკრეტული ადამიანის სახლი, (რაოდენ დიდც უნდა იყოს ამ უკანასკნელის თანამედრობრივი მდგომარეობა), ყველა მის მცხოვრებს აქვს აზრის გამოხატვის უფლება. ქალაქის ურბანული განვითარების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თუ სხვა მსგავს საკითხებზე პროფესიონალების შეფასებები მხოლოდ იმიტომ კი არ არის მნიშვნელოვანი, რომ მათ შესაძლოა, ამ თემებზე კომპეტენტური აზრი ჰქონდეთ. ეს ადამიანები ასევე ამ ქალაქის მცხოვრებნი არიან და სხვათა შორის, ბევრი მათგანი ამ პრეზიდენტის ამომრჩეველიც გახლავთ.

კრიტიკა ძალიან საჭირო რამ არის და ადამიანის კულტურა და მისი „გონებრივი შესაძლებლობები“ ზუსტად კრიტიკისადმი ამტანობით – სხვისი აზრის მოსმენის, გააზრების და გაზიარების შესაძლებლობაში გამოიხატება. ის, რომ რაღაც არ მომწონს, სულაც არ ნიშნავს, რომ არაფერი მომწონს, არც იმას ნიშნავს, რომ რუსული მენტალიტეტის მონა ვარ, (რუსეთი საერთოდ რა შუაშია, მაინც ვერ გავიგე. ეს ალბათ, მათთვის იყო ნათქვამი, ვინც პრეზიდენტის გამოსვლიდან სხვა ვერაფერი გაიგო, ამ კოდურმა ფრაზამ კი ყველაფერში გაარკვია.)

ქვეყანა ინდივიდებისგან შედგება, ყველა ინდივიდს კი საკუთარი სუბიექტური აზრი აქვს. ადამიანების, რომელთა

აზრი სახელმწიფოს მიერ ტირაჟირებულ „ობიექტურ ჭეშმარიტებას“ არ ემთხვევა, ერთ ჯგუფად გაერთიანება, მათი მარგინალებად წარმოჩენა და მტრად, აგენტად თუ მონად შერაცხვა ზუსტად ის საბჭოთა მენტალიტეტია, რომელზეც ჩვენი პრეზიდენტი ასე ხშირად საუბრობს.

ჩვენი ხელისუფლება კრიტიკისადმი მეტად ტოლერანტული რომ იყოს და სხვის აზრსაც იზიარებდეს, მჯერა, ეს ყველასთვის უკეთესი იქნებოდა და შეცდომების რიცხვიც მინიმუმამდე დავიდლოდა. **■**

**მიხეიჩ სააჩაშვილის ბაგოსჯა (აბონაჩილი)**

„ამოვიღე სპეციალურად ქართველები, უფრო სწორად, ზოგიერთი ქართველი რას წერს საქართველოს განვითარებაზე, თორემ ქართველები რას ამბობენ, ძალიან ვარგად ვიცი. გაიარეთ ქუჩაში და თვითონ მოგიყვებიან ჩემზე ბევრად უფრო მაგრად. საქართველო ამაყოფს ამ ადგილებით. მაგრამ, ერთი მცირეტირაჟიანი, ფერადი ჟურნალი წერს: „კიჩი ის მიდგომაა, რომლითაც ჩვენ აღმაშენებლის გამზირის პარიზად და მესტიის შვეიცარიად ქცევას ვაპირებთ. რამდენი მანსარდაც არ უნდა დაადგან აღმაშენებლის გამზირს, არ გამოვა მისგან პარიზი. სულ რომ ათასობით „პიაკა“ ჩადგან ჩვენს ძველ, ნესტიან, „კოფეთი“ გაყლენთილ ბათუმში, არ გამოვა მისგან არც ნიცა და არც რომი. ან ვის რად უნდა შენი კიჩი და ეს არქიტექტურული ბიჟუტერია. ამ კიჩის სანახავად მე თვითონ უარს ვამბობ



**■ კიჩი (და ალბათ უფრო მეტიც) იყო ის სცენა, ჩვენი პირველი პირი რომ „ერთ-ერთ დაბალტირაჟიან ჟურნალში“ ოთხი თვის წინ გამოქვეყნებულ სტატიას აფრიალებდა და თან უშვერი სიტყვებითაც ილანძლებოდა.**

სილნაღში სიარულზე.“ ერთადერთი პასუხია ამაზე – ვაი, შენს პატრონს! მე არ ვლაპარაკობ ამის გონებრივ შესაძლებლობაზე, ნამდვილად არავინ მინდა გავაკრიტიკო. მაგრამ აი, ამას ხომ ჰგონია თავი ძალიან განათლებული, ეს არის კლასიკური არქეტიპი რუსეთის მიერ ჩამოყალიბებული მონის საქართველოში. მინდა, მეორე რაღაცაც წაგიკითხოთ ისევ. დღეს ამათი დაცინვის ხასიათზე ვარ. დაცინვა არ არის ჩემს სტილში, მაგრამ ცოცხა უნდა გავაშაყირო, არ შემიძლია. მეორე ინტელექტუალი რას წერს ამას წინათ: „დასვენების დღეებში რიყის პარკთან მანქანის გაჩერება საკმაოდ რთულია. პარასკევს საღამოს მთელი ეს ტერიტორია – მეტეხის ხიდი, საფეხმავალ „მშვიდობის ხიდი“, ახალი პარკი, აბანოთუბანი, ხალხით იყო სავსე. ზუსტად ვერ გავიგე, რას აკეთებდნენ. ბავშვები მოიყვანეს? მაგრამ ეს ახალგაზრდები რაღამ მოიყვანა აქ?! აქეთ-იქით დადიოდნენ? აი, ჩემი მშობლები რომ ამბობდნენ, რუსთაველზე ვსეირნობდითო, ისე? აბა, სხვა რა უნდა გაეკეთებინათ მაშინ? არ მესმის, მართლა არ მესმის, რატომაა სასიამოვნო ასე სეირნობა. არ მესმის, რა უხარია ამ ხალხს“. ესენი ვერასოდეს ვერ გაიგებენ!“



კადრი ფილმიდან „ჰარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრები - ნაწილი 2“

# მშვიდობით, ჰაი!



ნიკო ნერგაძე

ამ ეტაპზე უკანასკნელი „პოტერის“ ავ-კარგის განხილვას აზრი აღარ აქვს. კარგია „ჰარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრები ნაწილი 2“, თუ – ისე რა? (ცუდი რომ არაა, ამაზე მგონი, ყველა თანხმდება). რა მნიშვნელობა აქვს! მათთვის, ვისაც ჰარი პოტერის ფილმებიდან რომელიმე მაინც მოსწონებია, ამ საგის დასასრულის ნახვა ალბათ აუცილებელია. წიგნის მოყვარულებიც, როგორც წესი, კმაყოფილნი რჩებოდნენ ჯოან როულინგის ნაწარმოებების ადაპტაციით. ხოლო მაგლებს, ვისაც არც წიგნები ნაკითხვა უნდა და არც წინა ფილმებით დაინტერესებულა, „სიკვდილის საჩუქრების“ მეორე ნაწილი აზრს ვერ შეუცვლის.

მოკლედ, მოდი, შევთანხმდეთ, რომ ფილმი არ განვიხილოთ. თუ რეცენზია გაინტერესებთ, ინტერნეტში უამრავია კომპეტენტური ხალხის დაწერილი სტა-

ტიები. ერთადერთი, ღირს ალბათ „სიკვდილის საჩუქრების“ კინოში ნახვის მსურველების გაფრთხილება. ქართულ კინოთეატრებში 3D სათვალეები მგონი არასოდეს გამოუცვლიათ და ზედ დარჩენილ თითის ანაბეჭდებს თუ ცხიმის ლაქებს ვერა ძალა ვეღარ შლის. ისედაც კარგა ბნელი ფილმი კი კიდევ უფრო ბნელი ჩანს. ფილმის ყურებისას ვფიქრობდი, ნეტავ ჩვეულებრივი, ორგანოზომილებიანი ფილმი იყო-მეთქი. არადა ცოდვაა, სამგანზომილებიანი ეფექტები ხარისხიანად და ეფექტიანადაა გაკეთებული, მაგრამ აი, ეს ცუდი სათვალეები და მეტისმეტი ჩაბნელება ხელს გიშლის.

ასევე, მოგეხსენებათ, ქართულ კინოთეატრებში ფილმებს რუსულად აჩვენებენ. როგორც წესი, ასატანია ხოლმე. რუსები ფილმებს ქართველებზე ბევრად უკეთ ახმოვანებენ და ისედაც, ყურებისას რაღაც ხანში გავიწყდება,

რომ რუსულადაა გახმოვანებული და კინოში ერთგები. აქ კი, რადგან რუსებმა საკუთარი სახელები მიარუსულეს, ამის საშუალება აღარ გაქვს. წიგნის მოყვარულებისათვის ეს განსაკუთრებულად ნერვებისმომშლელია. „ვოლანდემორტი“ ჰქვია იმ კაცს? ჭირი თქვენ! და, კიდევ, „კრესტრაფები“? ჰორკრუქსები რით იყო ცუდი, უკრაინული რკინისმუცელას კერძებო?

კარგი, მოვრჩით წუნუნს. გადავიდეთ საქმეზე.

ცხადია, რომ მერვე „პოტერი“ უბრალოდ ფილმი არ არის. ეს არის დასასრული პოლიფუნქციანი ყველაზე წარმატებული ფრენჩაიზისა („პოტერებმა“ მეტი ფული შემოიტანა, ვიდრე ერთად აღებულიმა ჯეიმს ბონდის 22-ვე ფილმმა ან ექვსივე „ვარსკვლავების ომებმა“). მეორე „სიკვდილის საჩუქრებიც“ მსოფლიო ეკრანებზე ყოველდღე ახალ-



კადრი ფილმიდან „ჰარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრები - ნაწილი 2“

-ახალ რეკორდს ამყარებს – ყველაზე მეტი წინასწარ გაყიდული ბილეთით, ყველაზე მეტი შემოსავლით ჯერ ჩვენების პირველ დღეს, მერე ჩვენების მეორე დღეს, შემდეგ ჩვენების პირველ სამ დღეში...

მანამდე კი რეკორდებს პოტერის წიგნები ამყარებდა. მარტო ის რად ღირს, რომ „სიკვდილის საჩუქრები“ მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე სწრაფად გაყიდვადი წიგნი გახდა – გამოსვლის პირველ დღეს მსოფლიოში მისი 11 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა. როულინგიც, „ფორბსის“ ცნობით, მსოფლიოში პირველი მილიარდერი ავტორი გახდა. (ჟურნალის ინფორმაციით მსოფლიოში მის გარდა სულ 4 ქალი მილიარდერია).

იმას, თუ რატომ გახდა „ჰარი პოტერი“ ასეთი პოპულარული, აქ ვერ განვიხილავთ. ამაზე წიგნებია დანერვილი. თუმცა, ერთ ასპექტზე მაინც ღირს ყურადღების გამახვილება. მეორე „სიკვდილის საჩუქრებს“ ალბათ იმიტომაც უჭირავდა კინოს ისტორიაში ყველაზე შემოსავლიანი პირველი კვირა, რომ მან დაასრულა ამბავი, რომელსაც ბევრი ბავშვობიდან, წლების განმავლობაში ადევნებდა თვალს, რომელიც მუდამ მისი ასაკისათვის შესაბამის ამბავს ყვებოდა...

ჰარი პოტერის მაგიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ხომ ისიც არის

რომ ის მკითხველთან თუ მაყურებელთან ერთად გაიზარდა. შუბლზე მესხის ფორმის ნაიარევის მქონე ჯადოქარი ბიჭის და ბოროტი, უცხვირო ვოლდემორის დაპირისპირების შესახებ ამბავი მაინცდამაინც საბავშვო არც არის. კი, დასაწყისი ნამდვილად უფრო პატარებისთვისაა განკუთვნილი – „ფილოსოფიურ ქვაში“ ჰარი 11 წლისაა და მისი თავგადასავალიც შესაბამისად ბავშვურია – უფრო ამალეღვებელი, ვიდრე საშიში. მაგრამ, მკითხველიც და მაყურებელიც გაიზარდა. მათთან ერთად ჰარიც იზრდებოდა და თხრობის ტონიც უფრო პირქუში, საშიში და სერიოზული ხდებოდა. ნელ-ნელა მნიშვნელობას კარგავდა ის, თუ ვინ რა ნიშანს მიიღებდა საგანში, რომელსაც „ბნელი ძალებისგან დაცვის ხელოვნება“ უწევია. უფრო მნიშვნელოვანი თავად ამ ბნელი ძალებისგან დაცვა ხდებოდა.

თანდათან ისიც გამოჩნდა, რომ ავტორისთვის ნამდვილ ბნელ ძალებს ბოროტი ჯადოქრები კი არ წარმოადგენენ, არამედ სიხარბე, პატივმოყვარეობა, შიში, მლიქვნელობა და კონფორმიზმი. სტივენ კინგი წერდა, „ჰარი პოტერის“ არსია შიშის დაძლევა, შინაგანი ძალის მოძებნა და გაჭირვებისას სწორი საქციელის ჩადენაო. ისე, კინგი როულინგის სერიას ჩვენი დროის მეორე პოპულარულ საგას, „ბინდს“ ადარე-

ბს და წერს, სტეფანი მეიერის წიგნების არსი კი არის, თუ რა მნიშვნელოვანია, რომ ბოიფრენდი გყავდესო.

სტივენ კინგს, იმის გარდა, რომ გულთ მოსწონს „ჰარი პოტერი“, წესით, პირადი ინტერესებიც უნდა ალაპარაკებდეს. ბავშვს, ვინც როულინგის წიგნთან ერთად გაიზრდება, სხვა, უფროსებისათვის განკუთვნილი მსგავსი ლიტერატურისთვისაც გაეხსნება მადა. გაეხსნება და სწორედ სტივენ კინგის „ბნელი კოშკის“ საგაზე გადავა. ან ურსულა ლე გუინის „ხმელეთბლვის“ (ასე ითარგმნება ნეტა Earthsea?) ამბებზე.

შიდიღება თქვათ, წიგნი რა შუაშია, ფილმზეა ლაპარაკიო. იმ შუაშია, რომ მედიუმს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აღარა აქვს. „ჰარი პოტერი“ აღარც წიგნია და აღარც ფილმი. კულტურული მოვლენაა. ფრენჩაიზია, რომელშიც შედის კომპიუტერული თამაშებიც, ვებსაიტებიც და ფანების მიერ შექმნილი მიუზიკლებიც. შემდეგი ფურცელი პოტერიადაში სწორედ ვებსაიტი იქნება, რომელსაც Pottermore უწევია და სადაც როულინგი „ჰარი პოტერის“ შესახებ დამატებითი ამბების განთავსებას გეპირდება (მოცულობაც ცნობილია – 18 ათასი სიტყვა!). საიტი წინასწარ დარეგისტრირებული ფანებისთვის როულინგის და ჰარი პოტერის დაბადების დღეს, 31 ივლისს გაიხსნება. ■

# ხობოხი შუქმნათ უხილავი ისხოხიისბან თანამედროვე სახვა



„აჭარპანი“ – მარიამ ალექსიძის ფანტაზია  
აფხაზური ფოლკლორის თემაზე

დავით ბუხრიკიძე

სამწუხაროდ, საქართველოში დრო, ჟამი და კულტურული მოცემულობა თანამედროვე ქორეოგრაფიას ნაკლებად, ან სულ არ სწყალობს. სიმართლე ვთქვათ, ძნელია „სუხიშვილების“ კაცების სინქრონულ ფეხგასმას „ხორუმში“, ან მონარნარე ქალების გრაციას „სამაიაში“, Contemporary dance-ით შთაგონებულმა დღევანდელმა, თავხედმა ქორეოგრაფმა რაიმე უფრო შთამბეჭდავი დაუპირისპიროს. ამისათვის ჭაბუკიანის ვნება და ენერჯია, ან ბალანჩინის ღვთაებრივი გეომეტრიის ცოდნა იქნებოდა საჭირო.

პრიმა-ბალერინას საპატიო სტატუსის შემდეგ, მადამ ანანიაშვილი საბალეტო დასის ხელმძღვანელის თანამედრობაზე, როგორღაც შეეცადა ბალეტის ენა განეახლებინა. პუბლიკას ხან „სიზმრები იაპონიაზე“ მოუყვა (ალექსეი რატმანსკის აღმოსავლური ელემენტებით გაჯერებული ქორეოგრაფია), ხან ბრიტანელი ტრეი მაკენტაირის დახვეწილობანი სანახევროდ მოარგო ოპერისა და ბალეტის სცენას და ხანაც, მოცეკვავეებს ნეოკლასიკოს ირჟი კილიანის „მოცარტიანას“ რთული შესტები დაასწავლა. თუმცა ეს ყველაფერი თანამედროვე ცეკვის გუშინდელი დღეა, რომ არა ვთქვათ გუშინდელი. ამდენად, მუდმივად განახლებადი თანამედროვე ქორეოგრაფიული ენის ათვისების პრობლემა და ტექნოლოგიური სირთულეები თეატრის შენობის გარემონტების შემდეგაც დარჩება.

გარღვევას არააკადემიურ თეატრალურ სივრცეშიც ნაკლებად უნდა ველოდოთ, რომ არაფერი ვთქვათ მინისქვედა, ან ალტერნატიულ სცენებზე. თანამედროვე ქორეოგრაფიის კარგი ნიმუშები საქართველოში ისევე რთულად დასაძე-



ლამა ხოზაშვილი და თამთა ბახტაძე „აჭარპანის“ რეპეტიციაზე

ბნია, როგორც პოლიციის გაუმჭვირავლე შენობები. თუმცა მცდელობები მაინც არსებობს. მაგალითად, რუსთაველის თეატრის სცენაზე, ორი წლის წინ, მოცეკვავისა და ქორეოგრაფის, მარიამ ალექსიძის მიერ დადგმული ერთაქტიანი „დოვინ-დოვენ-დოვლი“ Contemporary dance-ისა და პოეზიის შერწყმის საინტერესო ნიმუშია. რამდენად ხარისხიანი

და თანამედროვე, ეს უკვე ანალიზისა და მსჯელობის თემაა.

თაკარა ივლისის შუა რიცხვებში ასევე რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი ერთაქტიანი ბალეტი „აჭარპანი“, თანამედროვე ცეკვის მოყვარულთათვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა. ჯერ ერთი, ბეჭარგამოვლილი და უფრო გამოცდილი დამდგმელი ქორეოგრაფი,

მარიამ ალექსიძე შეეცადა თანამედროვე ცეკვისა და ფოლკლორის ენა შეეერთებინა; მეორეც, ეს ცნობილი ქორეოგრაფის, გიორგი ალექსიძის (მარიამის მამის) სახელობის ფონდის საპრეზენტაციო სპექტაკლია, უფრო ზუსტად „ფანტაზია აფხაზური ფოლკლორის თემაზე“, მესამეც „აჭარპანში“ გამოყენებულია ეთნოგრაფიული ჩანაწერების უნიკალური ნიმუშები, შესრულებული ტრადიციულ აფხაზურ საკრავებზე – აჭარპანსა და

სცენის სიღრმეში ძველბერძნულ, გიგანტური ლირის მსგავს ინსტრუმენტს, აჭარპანს ვხედავთ, რომელიც სხვადასხვა ფერის თვლებითაა შემკული. ის ხან ცაში ადის, ხან ქვემოთ ეშვება, ხანაც ნახევარ-მთვარის ფორმას ღებულობს. ხან უკარება და საშიშია, ხანაც ფერადი ქვასავით მიმზიდველი.

რიტუალური ცეკვები და სიმღერები, ფოლკლორული და მითოსური საწყისები სპექტაკლში ისევე ერთდება, როგორც კლასიკურ ბალეტში. ბოლოს და ბოლოს, ცეკვის პირობითი ენა მაინც ჩარჩოებითაა შეზღუდული. ადამიანისა და სამყაროს კავშირი, სიკეთისა და ბოროტების შეჯახების მარადიული თემებიც ასე ვთქვათ, გასხივოსნებითა თუ გამთლიანებით სრულდება. განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება სხვადასხვა სტიქიებთან შებრძოლების ქორეოგრაფიულ ენაზე წარმოჩენას და შემდგომ ამ სტიქიებთან მებრძოლო ვაჟისა და მისი შეყვარებულის ისტორიას.

სპექტაკლის ფინალში, სცენის სიღრმეში ლერწმის მსგავსი ლამაზი ქალის სხეული გამოისახება, რომელიც აჭარპანის ჰანგის მსგავსად, პლასტიკური ხერხით აუღერებს სხეულს. ქალი – აჭარპანი სპექტაკლის ლაიტმოტივი და მთავარი გმირის მფარველი სულია... ქალის სხეულისა და მუსიკალური ინსტრუმენტის სიმბოლური კავშირი კი, ცხადია, ქორეოგრაფს ზედმეტად ამალღებულად აქვს წარმოდგენილი, სადაც ირონიული „ნაკითხვისთვის“ არც ადგილი რჩება და არც დრო. თუმცა წარმომიდგენია ამავე სიუჟეტზე სპექტაკლი თავზედ პოსტმოდერნისტს, მატს ეკს რომ დაედგა, ან არცთუ ლირიკულ ფემინისტ მაგი მარენს! მაშინ გენახათ ქალი-სული და ქალი-ჰანგი რა სახით იქნებოდნენ წარმოჩენილნი!

პრობლემა ისაა, რომ ჩვენი ქორეოგრაფები ზედმეტად კრძალვით ეპყრობიან კლასიკურ მითებს, საბალეტო სიუჟეტებსა და სხეულს. მაშინ, როცა დასავლეთში ძნელად თუ დააჯერებ ვინმეს ამგვარი მითო-ეპოსური მოტივების სერიოზულობაში. გარდა ამისა, თანამედროვე სხეული ქორეოგრაფიაში მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის კულტურულ, რელიგიურ და სექსუა-

ლურ თავისებურებებთან, რაც ცალკე საუბრის თემაა.

რაც შეეხება სოლისტებს: ვაჟის მთავარ პარტიას ბოსტონის ოპერისა და ბალეტის პრემიერი ლამა ზოზაშვილი ცეკვავს – ცხადია, ტექნიკურად დამაჯერებლად და ზუსტად; რომანტიკული პრინცის იმიჯით, რაც თანამედროვე ცეკვის ენას მაინცდამაინც არ უხდება. ქალის პარტიას კი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ერთ-ერთი წამყვანი სოლისტი ნინო გოგუა ასრულებს, რომელმაც ნინო ანანიაშვილის დროის ნეოკლასიკური ცეკვის რაციონალიზმი და სიცივენაზავი შესტების თავისებურებანი კარგად აითვისა. აჭარპანის პარტიას ჩვენი საბალეტო დასის სოლისტი თამთა ბახტაძე შეძლებსდაგვარი სიზუსტით უმკლავდება, ხოლო ვაჟის მეტოქეს დავით ანანიაშვილი ცეკვავს, თუმცა ამ გვარით კარგად ცეკვა მამაკაცისთვისაც საკმაოდ ძნელია.

„აჭარპანის“ ქორეოგრაფიული ენა გარკვეული ორიგინალობისა და საინტერესო ფოლკლორული დეტალების მიუხედავად, არც განსაკვიფრებელ ტექნიკურ სირთულეს შეიცავს და არც სივრცულ-გეომეტრიულ, თუ გამოგნებელ სიახლეებს. თუმცა შესაძლებლობა, რასაკვირველია, არსებობდა. განსაკუთრებით სტიქიების წარმოჩენისას და რიტუალური ცეკვების გააზრებაში.

როგორც ქორეოგრაფი მარიამ ალექსიძე აღნიშნავს, „ეს არის მხოლოდ დასაწყისი. შემდგომ, სხვა სპექტაკლებში განსხვავებული ფორმით და ეტაპობრივად წარმოჩნდება საქართველოს სხვადასხვა კუთხის დამახასიათებელი კულტურა და ისტორიული ანარეკლი. დაიდგმება წარმოდგენები, სადაც ერთმანეთს სინთეზურად შეერწყმება ქართული თანამედროვე და ფოლკლორული მუსიკა, თანამედროვე ბალეტი და არქაული ცეკვა, მხატვრობა. თანამედროვე ხელოვნების საშუალებით აისახება საქართველოს ბუნების, კულტურის, ყოფისა და სულიერი ცხოვრების უამრავი საინტერესო და შთამბეჭდავი სურათი“...

შემდგომსაც ვნახავთ და შევაფასებთ: ჰა, სხეული და ჰა, საცეკვაო მოედანი! 



ფოტოსურათი: ალექსიძე

აფხიარცაზე. ასევე ქართველი კომპოზიტორების, თეიმურაზ ბაკურაძის, იოსებ ბარდანაშვილის და ბერძენი კომპოზიტორის იანის ქსენაკის თანამედროვე ნაწარმოებები.

სპექტაკლის მხატვარი გოგი ალექსიძე-მესხიშვილი შეეცადა თავად ინსტრუმენტი – აჭარპანი ექცია დეკორაციის ერთადერთ და მთავარ სიმბოლოდ...

## რიანა FACEBOOK-ზე ყველაზე პოპულარული ქალი



მომღერალმა რიანამ ლედი გაგას Facebook-ზე ყველაზე პოპულარული ქალბატონის სტატუსი წაართვა. მის გვერდს 40 570 154 „Like“ აქვს, რაც 23 ათასით აღემატება ლედი გაგას „Like“-ებს. მიუხედავად ასეთი სოლიდური მაჩვენებლებისა, ყველაზე პოპულარული შემსრულებელი სოციალურ ქსელზე ემინემია, რომელმაც პირველობა თებერვალში ასევე ლედი გაგას წაართვა. ემინემს 43,28 მილიონი „Like“ აქვს.

სამაგიეროდ, ლედი გაგა Twitter-ის უცვლელი ლიდერია. მის მიკრობლოგს 11,6 მილიონი მკითხველი ჰყავს. მეორე ადგილზე 11 მილიონიანი მაჩვენებლით ჯასტინ ბიბერია, რიანა Twitter-ზე მხოლოდ მე-13 ადგილს იკავებს (6,1 მკითხველი). რაც შეეხება ემინემს, მას კიდევ უფრო ნაკლები – 4,9 მილიონი მკითხველი ჰყავს.

## HOTMAIL მარტივი პაროლების წინააღმდეგ



ელექტრონული ფოსტის სერვისის Hotmail-ის ადმინისტრაციამ მარტივი პაროლების გამოყენება აკრძალა. ცოტა ხნის წინ სერვისის სპეციალური სისტემა დაემატა, რომელიც მომხმარებელს პრიმიტიული პაროლის გამო მისი ფოსტის შესაძლო გატეხვის შესახებ აფრთხილებდა. ახლა კი თუ პაროლი უსაფრთხოების მინიმალურ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, Hotmail უბრალოდ არ აძლევს მათ სერვისის გამოყენების საშუალებას და პაროლის შეცვლას სთავაზობს.

Microsoft-ში ამბობენ, რომ რეგისტრაციის გამკაცრებული სისტემის შემოღება ბოლოდროინდელი მოვლენებითაა განპირობებული. საუბარია სხვადასხვა ამერიკული სერვისების, მათ შორის Gmail-ის გატეხვაზე. სხვათა შორის, ამ ინციდენტების გამოკვლევამ დაადასტურა, რომ მომხმარებლების უმეტესობა სწორედ მარტივ და ბანალურ პაროლებს იყენებს. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ციფრები „123456“, „12345“ და „123456789“, ასევე ისეთი სიტყვები და ფრაზები, როგორცაა „password“, „iloveyou“, „princess“ და „rockyou“.

## MICROSOFT საიდუმლო - სოციალური ქალი



კორპორაცია Microsoft სოციალური ქსელების ომში ჩაბმას აპირებს. გასულ კვირას soci.com-ზე სოფტვერულმა გიგანტმა შემთხვევით ახალი პროექტის Tulalip-ის სასტარტო გვერდი გამოაქვეყნა.

სპეციალისტები ამბობენ, რომ სერვისი მომხმარებლებს სოციალურ ქსელში ჩართვას Facebook-ისა და Twitter-ის პროფილებით სთავაზობდა, თუმცა Tulalip-ზე განთავსებული არცერთი ბმული არ მუშაობდა. ძალიან მალე საიტზე სას-

ტარტო გვერდი გაქრა და მის ნაცვლად ასეთი მიმართვა გაჩნდა: „გმადლობთ, რომ შემოიხედეთ soci.com-ზე. ეს Microsoft Research-ის გუნდის შიდა პროექტია, რომელიც ინტერნეტში შეცდომით გამოქვეყნდა“.

ვრცელდება ცნობები, რომ Microsoft-მა Facebook-ისა და Twitter-ის კონკურენტის შექმნის მიზნით ერთი თვის წინ დომენი Social.com დაახლოებით 2,6 მილიონ დოლარად იყიდა. ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, რომ Tulalip არა Google+-ის მსგავსი დამოუკიდებელი პროდუქტი, არამედ Bing-ის გაფართოებული სოციალური ფუნქცია იქნება.

## LG ორ ახალ სმარტფონს უშვებს



LG-მ Google Android 2.3 პლატფორმაზე აგებული ორი ახალი ეკონომიური სმარტფონი ოფიციალურად დააანონსა. ერთ-ერთი მათგანი LG Optimus Pro QWERTY კლავიატურით, 2,8 დიუმიანი TFT ეკრანით და 800 მეგაპერციანი პროცესორით იქნება აღჭურვილი. მოწყობილობას სამი – თეთრი, შავი და „ტიტანის“ ფერის მოდელი ექნება.

მეორე სმარტფონი Optimus Net წარმატებული ეკონომიური მოდელის Optimus One-ს გაგრძელებაა. მასაც ისეთივე 3,2 დიუმიანი დისპლეი აქვს, თუმცა მომხმარებლებს მისი დახმარებით Twitter-სა და Facebook-ზე სტატუსების განახლებაც შეეძლება.

## FACEBOOK ახალ დამატებას ამზადებს

მარკ ცუკერბერგი სოციალურ ქსელზე სიახლეების დანერგვას აგრძელებს. ახალი მომხმარებლების მიზიდვისა და ძველი იუზერების შენარჩუნების მიზნით, Facebook-ის შემქმნელი სხვადასხვა ხერხის მოფიქრებას ცდილობს. ერთ-ერთი ასეთი ხერხი ჯერჯერობით დამუშავების სტადიაშია, თუმცა უკვე ცნობილია, რომ იგი სხვადასხვა წყაროებიდან ახალი ამბების ავტომატურად გადატანის სერვისი – Facebook Editions იქნება.

Facebook Editions-ის მუშაობის პრინციპი მარტივია: მისი დახმარებით კონტენტის შემქმნელები-სატელევიზიო



არხები, გაზეთები, ონლაინ-გამოცემები და სხვა მედიასაშუალებები საკუთარ მასალებს Facebook-ის მომხმარებლებს მიანვდიან. ცნობილია, რომ ამ სერვისით უკვე დაინტერესდნენ CNN, The Daily და Washington Post, თუმცა ექსპერტების ნაწილი ეჭვობს, რომ Facebook Editions-ს პოპულარობის მოპოვება გაუჭირდება. ერთ-ერთ ასეთ მიზეზად ფასიანი კონტენტი სახელდება, რომელთანაც Facebook Edition სავარაუდოდ არ ითანამშრომლებს. უცხოური მედიასაშუალებების დიდი ნაწილი კი, მათ შორის Reuters, Bloomberg, Wall Street Journal და Financial Times სწორედ ფასიან ახალ ამბებს ავრცელებენ.

## WINDOWS-ის ერა სრულდება

Microsoft Windows-ის ოპერაციული სისტემების განვითარება 2015-2016 წლებში ლოგიკურ დასასრულს მიუახლოვდება. თანამედროვე ტენდენ-



ციების კვალდაკვალ სოფტვერული გიგანტი პერსონალური კომპიუტერებისთვის, სმარტფონებისთვის, პლანშეტებისა და ტელევიზორებისთვის ერთიანი ოპერაციული სისტემის შექმნას გეგმავს.

შესაბამისი ხედვა Microsoft-ის წარმომადგენლებმა ლოს-ანჯელესში გამართულ კონფერენციაზე უკვე წარადგინეს. „ჩვენ არ შევთავაზებთ მომხმარებლებს ცალკეულ პლატფორმებს ცალკეული მოწყობილობებისთვის, ეს იქნება ერთიანი პროდუქტი“, – აცხადებენ კორპორაციაში.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ერთიანი სისტემა Windows აღარ იქნება. Microsoft Windows-ის ახალი სტრატეგიის შესაბამისი სახელწოდებით შეცვლას გეგმავს.

## APPLE უკვე სამუშაოშია

სტივ ჯობსის კომპანიას უდავოდ წარმატების პერიოდი აქვს: iPad-ის გაყიდვები არნახულად იზრდება, iPhone პოპულარულია, როგორც არასდროს, Mac-ის რეალიზაცია კი პერსონალური კომპიუტერების ინდუსტრიის ზრდის ტემპსაც აჭარბებს.

ეს წარმატება უკვე რეიტინგებზეც აისახა: IDC -ს მონაცემებით Apple პერსონალური კომპიუტერების მომწოდებელთა სამეულშია, პირველ ორ ად-



გილს კი HP და Dell იკავებენ. Apple-ს ამერიკის ბაზარზე 10,7% უკავია, HP-ს – 26,3%, Dell-ს კი-22,2%. ხუთეულში ასევე მოხვდნენ Toshiba (9,1%) და Acer(8,5%).

მთლიანობაში პერსონალური კომპიუტერების ბაზარზე მოკრძალებული, 2,6%-იანი ზრდა დაფიქსირდა. ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ამის მიზეზი სმარტფონებისა და პლანშეტების მხრიდან გაზრდილი კონკურენციაა.

## GOOGLE+ უკვე IPHONE-შიც

Google-მა iPhone-ს სმარტფონებისთვის Google+-ს დამატება გაუშვა. პროგრამის შექმნა მსურველებს



ინტერნეტ-მალაზია App Store-ში შეუძლიათ. დამატება ინტერნეტ-გიგანტმა სოციალური ქსელის პრეზენტაციისთანავე დააანონსა, თუმცა მისი გაშვება სხვადასხვა პროცედურების გამო შეყოვნდა. ცოტა ხნის წინ Google+-ს დამატება Android პლატფორმებისთვისაც გახდა ხელმისაწვდომი.

პროგრამის დახმარებით iPhone-სა და Android-ის მოწყობილობის მომხმარებლები Google+ზე განახლებების ნახვას, ახალი მომხმარებლების დამატებას, ფოტოების პროფილზე ატვირთვასა და ჩატით სარგებლობას შეძლებენ. ვიდუროჯის ფუნქცია მობილური მოწყობილობებისთვის ჯერჯერობით არ მუშაობს. 

მომზადდა ნინო ნატროშვილმა.

# 40? 39?



გიორგი აბზელდანი

ლონდონში წვიმს და წვიმს, დღე არ გავა, ღრუბლები არ წამოყაროს. ფეხბურთში კვლავ დუმლია. უფრო სწორად, ხმაური ტრანსფერების გამო. ეს წავიდა, ის მოვიდა, ეს ვერ მიდის, ის ვერ მოდის. წინა კვირაში კი ინგლისი და ინდოეთი კრიკეტს უჭახუნებდნენ, დიდი ტესტი იყო. სამწუხაროდ, ამ ტესტის აღწერით თავს ვერ შეგანყენთ, ჩვენს მხარეში კრიკეტი მაინც არ არის ისეთი რამ, რომ ხალხი მისი ანგარიშებით და მსვლელობით დაინტერესდეს.

სამაგიეროდ, სამი კვირაც და პრემიერ-ლიგის მორიგი სეზონი დაიწება, რაც ძალიანაც სასიამოვნო ამბავი გახლავთ.

პრემიერ-ლიგა ახლა ისეთია, რომ ყოველ წელიწადს თითო ძლიერი გუნდი ემატება და ჩემპიონობისთვის ბრძოლა კი უფროდაუფრო რთულდება. დიდი ჭედვაა ცხრილის ზედა ნაწილში და წლევლასაც ასე იქნება. „მანჩესტერ სიტი“, რომელმაც შარშან ასოციაციის თასი აიღო, წელს საჩემპიონო ტიტულს დაუმიზნებს. და ამავ ტიტულს დაუმიზნებენ ისინიც, ვინც ყოველთვის უმიზნებდნენ. „ჩელსი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „არსენალი“ და კიდევ „ლივერპული“, რომელმაც უკვე 105 მილიონი დახარჯა ფეხბურთელებში.

ამ ციფრებს წერ და ძნელად წარმოგიდგენია ხოლმე, რა ფულია და როგორი. წლევანდელი ვაჭრობის პოპულარული ციფრი ორმოცი მილიონია, სულ ეგ ორმოცი გაისმის. კარლოს ტევესი 40-ად უნდა გაიყიდოს, სერხიო აგუერო 40-ად უნდა იყიდონ. 39-ც კი საქმეს ძალიან ართულებს. ვერ შევთანხმდით, 39-ს იძლევიანო. გიკვირს, რასაკვირველია, ერთი მილიონი რა გაუხდათ ან ერთს ან მეორესო, მაგრამ ეგ ალბათ იმიტომ, რომ ამ ციფრების არსს ვერ ხვდები.

ასეა თუ ისე, არის ერთი ამბავი. კარლოს ტევესს „მანჩესტერ სიტიდან“ წასვლა უნდა, არ მოსწონს იქაურობა, ცოლ-შვილი არგენტინაში ჰყავს და მისმა ძველმა კლუბმა, ბრაზილიურმა „კორინტიანსმა“ დააპირა მისი ყიდვა, მაგრამ ვერ მოასწრო, სატრანსფერო ფანჯარა დაეხურა. ტევესი ფიქრობდა, ოჯახთან ახლოს ვიქნებო. ეს სიახლოვე კი პირობითია, იმიტომ რომ ფეხბურთელს შვილები კი ენატრება, მაგრამ ცოლთან გაურკვეველი ურთიერთობა აქვს. გაუცხოებულიაო, როგორც დაწერეს, თან ბრაზილიაც არ არის არგენტინა, უბრალოდ უფრო სწრაფად იფრენდა ბავშვების სანახავად. მაგრამ აი, კარლოსი კვლავ „მანჩესტერშია“ და იძახის, მაინც გამყიდეთ, მაინც გამყიდეთ, აღარ მინდა აქო. ოჯახთან სიახლოვის სურვილი კი ფერმკრთალდება ამ ძახილში, მაგრამ ამ სავაჭრო ამბებს მართლა ვერაფერს გაუგებ.

ახლა ისე ჩანს, რომ ტევესი „სიტიში“ დარჩება, მაგრამ „სიტი“ მაინც იყიდის აგუეროს, მარადონას სიძეს, ასევე 40 მილიონიან ბიჭს, რომელიც ნაკლებ ხელფასზეც თანხმბა. ნაკლები ხელფასიც ისეთივე პირობითი ამბავია, როგორიც სხვა. მადრიდის „ატლეტიკოში“ ბიჭს ორასი ათასი აქვს კვირაში და აქ კი ნაკლები მოუწევსო. მოკლედ, საკმაოდ მოსაწყენი ვითარებაა.

და იცით რატომ? იმიტომ რომ ფეხბურთი ჯერ არ დანყებულა. სეზონი არ გახსნილა. დაიწყება ფეხბურთი და ეს ფულის ამბები გაზეთების გვერდებზე სულ დაბლა და დაბლა ჩაინეწვს. როგორც გინდა თქვი და, კი არის ამ დიდი ფულის ტრიალი, მაგრამ ეგ სანახაობა არ არის. პრემიერ-ლიგა კი სანახაობაა. აი, დაბრუნდებიან შინ აზიას და ამერიკას ფულის საკეთებელი ტურნეებით მოდებული დიდი კლუბები და აგვისტოს მეორე შაბათს დაიწყება მსოფლიოს ყველაზე ძველი ჩემპიონატი ფეხბურთში. ჰოდა, თვალის დასივვენებს ციფრებისგან და ქექისგან. 



კარლოს ტევესი



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი  
გორი, ქარელი, საშურნი  
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია  
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი  
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

**FM 105.5**

**FM 103.0**

**FM 104.5**

**FM 101.0**

**FM 101.9**



**WWW.LIBERALI.GE**

---